

ნანა სუმბაძე, მაია მაისურაძე

**ახალგაზრდობის მონაწილეობა
დემოკრატიულ პროცესებში:**

კვლევის შედეგები და ახალგაზრდულ
ორგანიზაციათა ცნობარი

NANA SUMBADZE, MAIA MAISURADZE

**PARTICIPATION OF YOUTH
IN DEMOCRATIC PROCESSES:**

**Study Results and Directory
of Youth Organizations**



საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
Institute for Policy Studies (IPS)

თბილისი 2010 Tbilisi

გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება – საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation.

Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

პროექტი განხორციელდა ღია საზოგადოება-საქართველოს მხარდაჭერით

Project is supported by Open Society Georgia Foundation

ყდის დიზაინი: მ. სუმბაძე
Cover design: M. Sumbadze

თარგმანი: ეთერი სულაძე
Translation: Eteri Suladze

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: სანდიპ ჩაკრაბორტი
Text editing: Sandeep Chakraborty

© საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი, 2010
© Institute for Policy Studies (IPS), 2010

ISBN 978-9941-416-79-8

სარჩევი

1. შესავალი	6
2. კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია	8
3. ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტიობის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვა....	10
4. ახალგაზრდობის ძირითადი პრობლემები	13
5. ახალგაზრდობის მონაწილეობის დონე და სახეები	19
6. მონაწილეობის პირობები	21
6.1. სურვილი და დრო	21
6.2. გარემო	25
6.3. მიწვევა მონაწილეობაზე	25
7. მონაწილეობის გაზრდის გზები	27
8. ახალგაზრდობის მონაწილეობის ორგანიზების სახეები	30
8.1. სახელმწიფო სტრუქტურები	34
8.2. პარტიების ახალგაზრდული განყოფილებები	36
8.3. პროფესიული კავშირები	39
8.4. საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები	39
8.5. სტუდენტური კავშირები	43
8.6. ეკლესია	44
8.7. სათემო ორგანიზაციები	45
8.8. არასამთავრობო ორგანიზაციები	45
9. დასკვნები და რეკომენდაციები	51
ბიბლიოგრაფია	63
დანართი 1. გამოკითხულთა სია	64
დანართი 2. ფოკუს ჯგუფებისა და საუბრების ნუსხა	66
ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ცნობარი	115

CONTENTS

1. Introduction	68
2. The objectives and methodology of the study	69
3. Role of youth civil activities and overview of existing problems...	70
4. Major problems of the youth	72
5. Youth participation level and types of activities	77
6. Conditions of participation	79
6.1. Desire to participate and availability of time	79
6.2. Environment	82
6.3. Invitation for participation	82
7. Ways of increasing participation	83
8. Organized forms of youth participation	86
8.1. State structures	89
8.2. Youth wings of political parties	91
8.3. Trade Unions	93
8.4. International organizations and foundations	93
8.5. Student self-government	96
8.6. Church	97
8.7. Community based organizations	97
8.8. Non-government organizations	98
9. Conclusions and recommendations	102
References	111
Annex 1. List of consulted individuals	112
Annex 2. List of focus groups and discussions	114
Directory of youth organizations	172

**ასალგაზრდობის მონაწილეობა
დემოკრატიულ პროცესებში: კვლევის ანგარიში**

1. შესავალი

საზოგადოებრივ ცხოვრებისადმი ინტერესი და მასში ჩართულობა დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს. სამოქალაქო მონაწილეობა გულისხმობს საერთო ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების გარშემო მოქალაქეთა მონაწილეობას კოლექტიურ მოქმედებებში. ჯგუფებს განიხილავენ, როგორც არჩევნების მიღმა არსებულ მონაწილეობის ძირითადი მამოძრავებელი ძალად (Maloney, 2008). მონაწილეობა სოციალური კაპიტალის ნაწილს წარმოადგენს. პატნამი (Putnam, 2000) სოციალურ კაპიტალს განიხილავს, როგორც ერთდროულად კერძო და საჯარო სიკეთეს. იგი საკეთილდღეოა არა მხოლოდ მისი მფლობელი ინდივიდისათვის, არამედ ასევე მცირე სოციალური კაპიტალის მფლობელი ინდივიდისათვისაც მოაქვს სარგებელი თუ მოცემულ საზოგადოებას ზოგადად დიდი სოციალური კაპიტალი გააჩნია. სოციალურ კაპიტალს განსაზღვრავენ, როგორც „სოციალური ორგანიზაციის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ნდობა, ნორმები და სოციალური ქსელები, რომლებსაც შესწევთ ძალა კოორდინირებული მოქმედებების მხარდაჭერის მეშვეობით გაზარდონ საზოგადოების ეფექტიანობა“ (Putnam, 1993. გვ.167). სოციალური კაპიტალის დიდი ოდენობა დემოკრატიის აუცილებელ პირობად არის მიჩნეული. პაქსტონი (Paxton, 2002) განიხილავს ორ გზას, რომლის მეშვეობითაც სოციალური კაპიტალი ზეგავლენას ახდენს დემოკრატიაზე: იგი ხელს უწყობს არადემოკრატიულ ქვეყნებში დემოკრატიის ჩამოყალიბებას იმით, რომ არ აძლევს სახელმწიფოს საშუალებას დაჩაგროს საკუთარი მოქალაქეები და მეორე, ქმნის სივრცეს ორგანიზებული ოპონირებისათვის.

წევრობა ნებაყოფლობით ორგანიზაციებში ზრდის ინდივიდის სოციალურ კაპიტალს, მის რესურსებსა და უნარებს, ახდენს პოლიტიკური მონაწილეობის სტიმულირებას. ორგანიზაციები იძლევიან პრობლემების და მოთხოვნების ფორმულირების შესაძლებლობას. ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან პრობლემის გადაჭრის აუცილებელი პირობას წარმოადგენს ის, რომ იგი იყოს გაგონილი გადაწყვეტილების მიმღებების მიერ, რაც სწორედ ჯგუფურ მოქმედებას მოითხოვს (Rosenblum, 1998).

ბოლო წლებში საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტისა და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ გამოკვლევებში გამოიკვეთა ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიობის დაბალი დონე (სუმბაძე, 2010; საქართველოს ახალგაზრდობის ეროვნული ანგარიში, 2009;). ნიჰილისტური დამოკიდებულება პოლიტიკურ ლიდერთა მიმართ, და ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი მონაწილეობის მიმართ განსაკუთრებულად დიდია ახალგაზრდებს შორის, რაც საფრთხეს უქმნის დემოკრატიული პროცესების განვითარებას. სამოქალაქო საზოგადოების მობილიზაციას ხელს უშლის ინფორმაციის ნაკლებობა საქართველოში არსებული ახალგაზრდა ორგანიზაციების, მათი მიზნების, აქტიობებისა და წევრების შესახებ. ამდენად ახალგაზრდული ორგანიზაციების იდენტიფიკაცია და მათ შესახებ ინფორმაციის ორგანიზაცია, ასევე იმ მიზეზების დადგენა, რომლებიც განაპირობებენ ახალგაზრდების პასიურობას საზოგადოებრივი მოვლენების მიმართ აუცილებელ წინა პირობას წარმოადგენს ისეთი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის, რომელიც განაპირობებს ახალგაზრდების მეტად ჩართვას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მონაწილეობის ფუნქციას წარმოადგენს ერთი მხრივ ზეგავლენის მოხდენა გადაწყვეტილებების მიღებაზე და მეორეს მხრივ სოციალური კაპიტალის შექმნა დამაკვირვებელი ურთიერთობების შექმნის მეშვეობით. იძლევა რა საშუალებას დამყარებული იქნეს კავშირები სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალური, განათლების და პროფესიული, ასაკობრივი და გენდერული ჯგუფების წარმოადგენლებთან ნებაყოფლობით ორგანიზაციაში გაერთიანება ასევე წარმოადგენს ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბების საწინდარს.

ცნობილია, რომ მონაწილეობის ხარისხი ცვალებადობს თაობების მიხედვით. მოქალაქის საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის პროგნოზირების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მისი მონაწილეობა ნებაყოფლობით ორგანიზაციებში და მოხალისეობა ადრეული ახალგაზრდობის პერიოდში. ამდენად დემოკრატიული პრაქტიკისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანების შეძლებისამებრ ადრეულ პერიოდში ჩართვა საზოგადოებრივ საქმიანობაში.

2 კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოში არსებული ახალგაზრდული და ახალგაზრდობასთან მომუშავე ორგანიზაციების იდენტიფიკაცია, მათი მიზნების, აქტივობების და სამიზნე ჯგუფების შესახებ ინფორმაციის ცნობარში წარმოდგენა. ასევე ახალგაზრდობისა და ორგანიზაციის წარმომადგენლების შეხედულებებისა დადგენა იმ პრობლემების თაობაზე, რომლებიც ხელს უშლიან ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობას.

გამოკვლევა მოიცავს სამაგიდო და ემპირიულ ხარისხობრივ კვლევას. მოხდა ძირითად დანტერესებულ პირებსა და ექსპერტების იდენტიფიკაცია და მათგან ჩალრმავებული ინტერვიუების აღება. ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებსა და წევრებთან ჩატარებული იქნა ფოკუს ჯგუფები. დისკუსიები ჩატარდება ასევე იმ ახალგაზრდებთან, რომლებიც არ არიან ჩართული ახალგაზრდული ორგანიზაციების მუშაობაში. საველე სამუშაოები ჩატარდა საქართველოს იმ ქალაქებში, სადაც ფუნქციონირებენ უნივერსიტეტები, ასეთებია თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, თელავი, გორი, ზუგდიდი და ახალციხე. ახალქალაქში, მარნეულში და კარალეთში დისკუსიები ჩატარდა სამოქალაქო აქტივობის ხელისშემშლელი ფაქტორების დასადგენად სომხურ, აზერბაიჯანულ და დევნილ ახალგაზრდებთან და ასევე კახეთისა და სამეგრელოს სოფლებში, სოფლის ახალგაზრდების პრობლემების იდენტიფიკაციისათვის. სულ ჩატარებულ იქნა 14 ფოკუს ჯგუფი, 4 დისკუსია და 21 ჩალრმავებული ინტერვიუ. ჯგუფურ დისკუსიებში მონაწილეობა 211 პიროვნებამ მიიღო (49.3 პროცენტი ქალი, 50.7 პროცენტი კაცი).

(იხ. დანართი 1 და 2).

ფოკუს ჯგუფები, საუბრები და ჩალრმავებული ინტერვიუები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ახალგაზრდობის მონაწილეობის დონის შეფასება;
- ახალგაზრდობის აქტივობის სფეროები;
- ახალგაზრდული ორგანიზაციების ძირითადი პრობლემები;

- ახალგაზრდობის მცირე მონაწილეობის მიზეზები;
- გზები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება ახალგაზრდობის მეტად ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახალგაზრდული ორგანიზაციების იდენტიფიკაცია დაიწყო ვებ-გვერდებისა და ცნობარებში მათი ძიების მეშვეობით და გაგრძელდა „თოვლის გუნდას“ მეთოდის მეშვეობით – ყოველმა გამოკითხულმა ორგანიზაციამ მოგვანოდა მისთვის ცნობილ ორგანიზაციათა ნუსხა.

თვითოველმა ორგანიზაციამ შეავსო კითხვარი, რომელიც მოიცავდა შემდეგ ძირითად საკითხებს:

- ორგანიზაციის დასახელება და მისი სამართლებრივი სტატუსი;
- საკონტაქტო ინფორმაცია;
- დაარსების თარიღი;
- ძირითად თანამშრომელთა რაოდენობა;
- ხელმძღვანელი;
- ძირითადი მიზნები და ამოცანები;
- სამიზნე ჯგუფები;
- აქტიობის სფეროები;
- აქტიობის სახეები;
- დაფინანსების წყაროები
- განხორციელებული და მიმდინარე პროექტები.

ჩვენს მიერ დაგზავნილი 110 ანკეტიდან მხოლოდ 55 ორგანიზაციისგან იქნა დროულად მიღებული პასუხები. მათი საანკეტო მონაცემები შეყვანილ იქნა SPSS პროგრამაში და დამუშავდა სტატისტიკურად. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულ ორგანიზაციათა ოდენობა არ იძლევა სანდო სტატისტიკური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას, ვფიქრობთ მონაცემები მაინც ასახევენ არსებულ ტენდენციებს.

3. ახალგაზრდობის სამოქალაქო აქტივობის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვა

ახალგაზრდობა მოსახლეობის დიდ სეგმენტს წარმოადგენს. 15-დან 30 წლამდე ასაკის ადამიანები საქართველოს მოსახლეობის თითქმის მეოთხედს (23.6 პროცენტს) შეადგენენ. მათგან 50.6 პროცენტო მამაკაცია და 49.4 პროცენტი ქალი.

მაგრამ ახალგაზრდობის ქვეყნისათვის მნიშვნელობა მხოლოდ მისი რაოდენობით არ განისაზღვრება. ისინი ის ადამიანები არიან, რომლებიც ეხლა და მომავალში მიიღებენ ქვეყნისათვის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს. ამდენად საქართველოს ეხლანდელი თუ მომავალი კეთილდღეობა და წარმატება მნიშვნელოვნად არის მათზე დამოკიდებული.

ახალგაზრდობა, როგორც სასიცოცხლო ციკლი მოზარდობასა და ზრდასრულობას შორის არის განთავსებული. წარმოადგენს რა გარდამავალ სტადიას მოზარდობიდან ზრდასრულობაში, მას თავის სპეციფიურ მოთხოვნებსა და ამოცანებთან ერთად ამ ორი სასიცოცხლო პერიოდისათვის დამახასიათებელი თვისებებიც ახასიათებს. ახალგაზრდობის მთავარ ამოცანას დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, მუშაობისა და ოჯახის შექმნისათვის მომზადება წარმოადგენს. შეიძლება ითქვას რომ ეს ადამიანის ცხოვრების უფრო მომავალზე ორიენტირებული ფაზაა (Lefrancois, 1993). შესაბამისად ძალზე მნიშვნელოვანია ამ პერიოდში როგორც საქმიანი ასევე პირადი ცხოვრებისათვის აუცილებელი რესურსების დაგროვება და უნარ-ჩვევების შექმნა. ამ პერიოდში ხდება ძირითადად სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაც და ადამიანების ჩართვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ აქტივობებში.

ასაკი, რომლითაც განისაზღვრება ახალგაზრდობა ცალსახად ფიქსირებული არ არის. გაერო ასეთად მიიჩნევს 15-24 წლის ინდივიდებს, ევროკავშირი ზედა ზღვარს 30 წელზე აფიქსირებს საქართველოში არ არსებობს კანონი ახალგაზრდობის შესახებ. ახალგაზრდული ორგანიზაციების შესახებ კანონის მიხედვით ახალგაზრდად ითვლება 18-25 წლის ასაკის პიროვნება. ახალგაზრდობასთან მიმართებაში შემუშავების სტადიაში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით

იგი დაგეგმილია, რომ განისაზღვროს 18-29 წლით. ჩვენი გამოკითხვის მონაწილეები ახალგაზრდებად უფრო ხშირად მიიჩნევენ 15-30 ასაკის პიროვნებებს, თუმცა ზოგიერთის აზრით ახალგაზრდობის ზედა ასაკობრივი ზღვარი 35 წელია.

მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადანყვეტილებების მიღებაში დემოკრატიის და სამოქალაქო აქტიობის პირობას წარმოადგენს. ის ადამიანის უფლებათა და განისაზღვრება, როგორც „შესაძლებლობა ადამიანებმა მოახდინონ მონაწილეობის უფლების რეალიზაცია, მიიღონ ინფორმაცია იმ გადანყვეტილებების მიღების პროცესზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე“ (Youth participation in development, 2010). მსოფლიო ბანკის განმარტების თანახმად მონაწილეობა გულისხმობს ინფორმაციის გაზიარებას, კონსულტირებას, გადანყვეტილებების მიღებას და მოქმედებების წამოწყებას. ამასთან აუცილებელია, რომ მონაწილეობა იყოს აქტიური, ნებაყოფლობითი და ეყრდნობოდეს საკმაო ოდენობის ინფორმაციას.

სოციოლოგმა როჯერ ჰარტმა (Commonwealth Secretariat, 2005) შექმნა მონაწილეობის მოდელი – მონაწილეობის კიბე, რომელიც 8 საფეხურისაგან შედგება:

1. მანიპულაცია: უფროსები მართავენ ახალგაზრდებს, ისე რომ ახალგაზრდები ვერ ხვდებიან რა ხდება;
2. დეკორაცია: ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ (მაგ. მღერიან, ცეკვავენ), მაგრამ მათ არ იციან რისთვის აკეთებენ ამას;
3. სიმბოლიზმი: ახალგაზრდებს სთხოვენ გამოთქვან აზრი, მაგრამ მათ იმის მცირე არჩევანი აქვთ, თუ როგორ გააკეთონ ეს;
4. დავალების მიცემა ინფორმაციას გაცემასთან ერთად: უფროსები იღებენ გადანყვეტილებას თუ რა უნდა გააკეთონ მოხალისე ახალგაზრდებმა. უფროსები ახალგაზრდებს აწვდიან საკმარის ინფორმაციას და პატივისცემით ექცევიან მათ შეხედულებებს;
5. კონსულტირება ინფორმაციის მიღებასთან ერთად: დაგეგმვა და განხორციელება ხდება უფროსების მიერ, რომლებიც

ახალგაზრდებისაგან იღებენ კონსულტაციას. ახალგაზრდებს აქვთ სრული ცოდნა პროცესზე. მათ შეხედულებებს სერიოზულად ეკიდებიან;

6. უფროსების მიერ ინიცირებული, გადანყვეტილებების მიღება ხდება ახალგაზრდებთან ერთად: იდეა უფროსებს ეკუთვნით, მაგრამ ახალგაზრდები ჩართული არიან დაგეგმვასა და განხორციელებაში. ახალგაზრდები ასევე მონაწილეობენ გადანყვეტილების მიღების პროცესში;
7. ახალგაზრდების მიერ ინიცირებული და განხორციელებული: იდეა, ისევე როგორც მისი განხორციელების დაგეგმვა ახალგაზრდობას ეკუთვნის. უფროსები განხილული არიან კონსულტანტებად;
8. ახალგაზრდობის მიერ ინიცირებული, გადანყვეტილების მიღება ხდება უფროსებთან ერთად: იდეა ეკუთვნის ახალგაზრდებს, რომლებიც სთავაზობენ უფროსებს მათთან ერთად მიიღონ გადანყვეტილებები.

მოდელი ხაზს უსვავს ახალგაზრდების მონაწილეობისათვის უფროსებთან პარტნიორობის მნიშვნელობას, რადგან მონაწილეობის უმაღლესი, მერვე დონე მეშვიდესგან მხოლოდ უფროსების მონაწილეობის უფრო დიდი ოდენობით განსხვავდება.


ახალგაზრდობა ცხოვრების ყველა სფეროში არის წარმოდგენილი და მისი ინტერესების გათვალისწინება ყველგან აუცილებელია, მაგრამ განათლება, სპორტი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა ის სფეროები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ და სადაც ახალგაზრდობა უმრავლესობას წარმოადგენს.

4. ახალგაზრდობის ძირითადი პრობლემები

ახალგაზრდობის მონაწილეობა სიმცირე არ შეიძლება განხილულ იქნეს იზოლირებულად, რადგან იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ სხვა პრობლემებთან, რომელთა წინაშეც დღეს ახალგაზრდობა დგას.

პრობლემები, რომლებიც ახალგაზრდების მიერ იქნა დასახელებული რასაკვირველია არ არის სპეციფიური და მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდობის ასაკთან დაკავშირებული. ისინი ქვეყნის მთლიანი კონტექსტის განუყოფელი ნაწილია, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ახალგაზრდებთან მიმართებაში გარკვეული სპეციფიკით ხასიათდებიან.

ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოკითხვის მონაცემები ახალგაზრდობის ძირითადი პრობლემების შესახებ მეტყველებს ცოდნისა და დასაქმების მნიშვნელობაზე.



დისკუსიებსა და ინტერვიუებში ასევე გამოიკვეთა ახალგაზრდობის ორი ძირითადი პრობლემა, რომელთაგანაც ყველა სხვა მეტნაკლებად არის დაკავშირებული. ეს პრობლემებია დასაქმება და განათლება. ახალგაზრდობასთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის არ არსებობა, ხოლო განათლების სფეროში

სახელმწიფო პოლიტიკის მანკიერი ხასიათი დანახულია, როგორც პრობლემების წარმოქმნის მნიშვნელოვანი წყარო.

დასაქმება

დასაქმება ქვეყანაში რასაკვირველია არ წარმოადგენს სპეციფიურ ახალგაზრდულ პრობლემას, მაგრამ მისი შედეგები განსხვავებულია განსხვავებულ ასაკის ადამიანებთან. ამასთან ექსპერტთა შეფასებით უმუშევრობის ყველაზე მაღალი პროცენტი, 37.0 პროცენტი 2010 წელს 19-დან 29 წლამდე ახალგაზრდებზე მოდის (ინტერვიუ გიორგი ციმინტიასთან). თანაც ახალგაზრდებთან უმუშევრობა უფრო მეტად არის დაკავშირებული განათლების მიღების მოტივაციასთან და პროფესიული წინსვლის პერსპექტივასთან. დაუსაქმებლობის გამო ახალგაზრდებს არ ეძლევათ თვით-რეალიზაციის საშუალება. ახალგაზრდები უმუშევრობას უკავშირებენ უპერსპექტიობის განცდას, უიმედობას და ეჭვს განათლების მიღების საჭიროებაში.

სწავლობ მაგრამ რისთვის?

უმუშევრობა და ჭარბ თავისუფალი დროსთან არის დაკავშირებული „ბირჟაობა“ – ქუჩაში თუ სოფელში ბიჭების უაზრო დგომა, ლოთობა, ნარკომანია, აზარტულ თამაშებით გატაცება და ასევე კრიმინალი. განსაკუთრებით აღინიშნა ლოთობისა და ნარკომანიის გავრცელება ახალგაზრდებში.

დაუსაქმებლობა, რომელიც ხშირად სიღარიბეს და უპერსპექტიობას გრძნობას განაპირობებს ასევე იწვევს მთელ რიგ ფსიქოლოგიურ პრობლემებს. უსახსრობა ზღუდავს თანატოლებთან ურთიერთობას.

უსახსრობა იწვევს ჩაკეტილობას ბიჭებში, მეგობრებთანაც არ უნდათ ურთიერთობა.

უსახსრობის გამო ახალგაზრდობა ვერ ახერხებს მრავალი მოთხოვნილების, თვით სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილებასაც კი.

ახალგაზრდას დღეს, როგორც მოხუცს სჭირდება პენსია რომ იკვებოს, იმიტომ რომ იმას სამსახურს არავენ აძლევს. ახალგაზრდას რომელიც უმუშე-

ვარია, უფრო ჭირდება მე მგონი კვება და უფრო მეტიც კიდევ ვიდრე იმ მოხუცს. იმ მოხუცისგან განსხვავებით ძალიან ბევრი რამე სჭირდება ახალგაზრდას. (ინტერვიუ თეიმურაზ ნიკლაურთან)

ინტერვიუებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ასევე აღნიშნეს უმუშევრობის უარყოფითი ზეგავლენა ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე (ინტერვიუ ლევან ჯაფარიძესთან). ახალგაზრდები ვერ ქმნიან ოჯახს უსახსრობის გამო. უმუშევრობა ასევე იწვევს მიგრაციას და შესაბამისად აისახება დემოგრაფიაზე.

დაუსაქმებლობის აშკარა შედეგია მიგრაცია. ჯგუფის წევრები მიუთითებენ, რომ ეკონომიურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ოჯახის ახალგაზრდები უცხოეთში, სამეგრელოდან თურქეთში, ხოლო ჯავახეთიდან სასომხეთსა და რუსეთში მიდიან სამუშაოდ.

ყველა გარბის რადგან არც სამუშაოა და არც გართობა.

განათლება

განათლება ყველა ჯგუფის წევრს აწუხებს. ამ პრობლემას, დასაქმების მსგავსად მრავალი წახნაგი აქვს. მიუთითებენ უპირველეს ყოვლისა ახალგაზრდების უნიგნურობაზე, განათლების დაბალ დონეზე.

დღეს ახალგაზრდობამ დომინოს თამაში უფრო იცის, ვიდრე კითხვა.

განათლების დაბალი დონის მიზეზად ასახელებენ ზოგადად განათლების რეფორმის ხარვეზებს, საშუალო სკოლისა და უმაღლეს დანესებულების უმრავლესობაში სწავლების დაბალ ხარისხს, ასევე განათლების ხელმიუწვდომლობას გაპირობებულის ეკონომიკური მიზეზებით. დისკუსიის მონაწილეები აღნიშნავენ სკოლაში მასწავლებელთა დაბალ დონეს და მათში ხარისხიანად სწავლების მოტივაციის სიმცირეს, ასევე სკოლების, განსაკუთრებით კი სოფლის სკოლების ცუდ აღჭურვილობას. უსახსრობის გამო ბევრი ბავშვი სკოლაშიც კი ვერ დადის.

უმაღლესი განათლების პრობლემად მიაჩნიათ მაღალი დონის უმაღლეს სასწავლებლების სიმცირე.

საქართველოში ცოტაა ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც შეიძლება ხარისხიანი განათლების მიღება.

ხარისხზე არანაკლები პრობლემაა განათლებასთან დაკავშირებული ხარჯების სიდიდე. ხარჯების საჭიროებაც განათლების ყველა დონეზე იჩენს თავს. იმის გამო, რომ სკოლა არ იძლევა საკმარის განათლებას, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა ფაქტიურად მთლიანად განსაზღვრავს იმას, შესძლებს თუ არა ახალგაზრდა უმაღლესი განათლების მიღებას.

რეპეტიტორი თუ არ გყავს ეროვნულ გამოცდებს ვერ ჩააბარებ.

მათ, ვინც მაინც ახერხებს ეროვნული გამოცდების ჩაბარებას ესაჭიროებათ თანხა სწავლების საფასურის გადასახადად.

სწავლების საფასური ჩვენნაირი ქვეყნისათვის ძალიან მაღალია.

ძალზე ბევრ ოჯახს არ შეუძლია საფასურის გადახდა და ახალგაზრდის მოტივაციის მიუხედავად გააგრძელოს სწავლა, იგი ამას ვერ ახერხებს. სწავლების საფასურს ემატება ცხოვრების ხარჯები იმ შემთხვევაში, როდესაც ახალგაზრდას ოჯახი არ ცხოვრობს იმ ქალაქში სადაც უმაღლეს სასწავლებელია. ბევრისთვის ასევე პრობლემას წარმოადგენს ყოველდღიური სატრანსპორტო ხარჯები. პროფესიული სასწავლებლების მოსწავლეებმა მიუთითეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მათთან სწავლების ხანგრძლიობა ერთი და ზოგან უფრო მეტი წელია, ისინი საზოგადოებრივ ტრანსპორტზე არ სარგებლობენ სტუდენტთა უპირატესობით და 40 თეთრს იხდიან.

ასევე განათლების ხელისშემშლელ პირობად დანახულია სწავლის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ნაკლებად ხელმისაწვდომობა.

გართობა

გართობის შესაძლებლობების ქონა ისეთივე კანონიერი მოთხოვნილებაა, როგორც დასაქმების ან განათლების მიღების.

უმუშევრობის პირობებში ის კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს ქარბი თავისუფალი დროის არსებობის გამო. გართობის შესაძლებლობები დრამატულად კლებულობს დასახლების თბილისიდან დაშორებასთან ერთად.

ბევრ ქალაქში არც კინოთეატრი, არც თეატრი და არც სპორტული დარბაზია. სტადიონები, როგორც წესი ცუდ მდგომარეობაშია. არ არის ახალგაზრდობის თავშეყრის ან სეირნობის ადგილები.

მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა გართობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის სიმცირე და ხელმიუწვდომლობა. ინფორმაცია იმ ერთეული ღონისძიებესა თუ შესაძლებლობებზე, რომელიც არსებობს უმრავლესობისათვის ხელმიუწვდომელია.

თუ სადმე რამე ტარდება, ჩვენ სოფლამდე ვერ აღწევს. ერთადერთი სადაც შეიძლებოდა რაიმეს გაგება სკოლა იყო, მაგრამ სკოლის დამთავრების შემდეგ ეს შესაძლებლობაც გაქრა. (საუბარი ახალგაზრდებთან სამეგრელოში)

მოტივაცია და მიზანდასახულობა

ჯგუფების ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ახალგაზრდებს არ აქვთ ცხოვრების მიზანი, არ იციან რა უნდათ და შესაბამისად არ აქვთ მოტივაცია რაიმე გააკეთონ. შესაძლოა სწორედ მოტივაციის სიმცირე იყოს ყველაზე დიდი და საშიში პრობლემა, რაც დღეს ახალგაზრდების წინაშე დგას, რადგან ნებისმიერი ქმედების წამოწყების აუცილებელ პირობას სწორედ შესაბამისი მოტივაციის არსებობა წარმოადგენს.

ახალგაზრდებში მოტივაციის ნაკლებობაზე და ფასეულობების დეფიციტზე მიუთითა ინტერვიუში აღექსანდრე სილაგაძემ. მისი აზრით არ ხდება სამოქალაქო აზროვნების ჩამოყალიბება ახალგაზრდებში.

სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობის სპეციფიური პრობლემები

სოფელში პრობლემები კიდევ უფრო მეტია, ვიდრე ქალაქში. მეტია იზოლაცია და ნაკლებია აქტიურად ცხოვრების მოტივაცია.

სოფელში ახალგაზრდობა ერთ სივრცეშია ჩაკეტილი, არ აქვს არც ინტერესი და არც მოტივაცია.

ბევრი ვერ სარგებლობს ინტერნეტით, რაც კიდევ უფრო ზრდის ინფორმაციულ ვაკუუმსა და იზოლაციას.


ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილების ახალგაზრდობის სპეციფიური პრობლემები

ეროვნულ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ქართულენოვან მოსახლეობასთან ინტეგრაცია პრობლემას წარმოადგენს, რის ერთერთ ძირითად მიზეზად ქართული ენის არ ცოდნას ასახელებენ. მცირეა ქართველ თანატოლებთან ურთიერთობის შესაძლებლობები. ენის არ ცოდნა კიდევ უფრო ამცირებს სამუშაოს შოვნის შესაძლებლობას და ხელს უწყობს მიგრაციას.

გოგონებთან ამ პრობლემებს ემატება ადრეული გათხოვება.

ჩვენთან 13-14 წლის გოგონებს უკვე ათხოვებენ. მაგრამ ასე ყოფნას, ისე გათხოვება ჯობია, სხვა რა უნდა აკეთო აქ?

ანკეტის კითხვაზე დაესახელებინათ ახალგაზრდული პრობლემების დაძლევის საშუალებები ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ძირითადად მიუთითეს განათლების დონის და მისი ხელმისაწვდომობის გაზრდისა და ახალგაზრდებთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.



ნახ.2
ახალგაზრდობის პრობლემების მოგვარების გზები
წყარო: ანკეტის მონაცემები (N=55)

5. ახალგაზრდობის მონაწილეობის დონე და სახეები

ფოკუს ჯგუფის განხილვის მონაწილეებმა აღნიშნეს ის აქტივობები, რომლებშიც ისინი იღებდნენ ან იღებენ მონაწილეობას.

ეს უპირველეს ყოვლისა არის სხვადასხვა წრეები, ძირითადად ცეკვის, სიმღერის, გოგონებთან ქსოვისა და ქარგვის, ხოლო ბიჭებთან სპორტული აქტივობები.

ბევრმა მიუთითა, რომ სკოლაში სწავლის პერიოდში მონაწილეობდა გარემოს დასუფთავებაში, დადიოდა ძეგლებზე ექსკურსიებზე. უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებმა მიუთითეს, რომ მონაწილეობდნენ ძეგლების აღდგენაში და ეკლესიის მშენებლობაში. რამოდენიმე ახალგაზრდას ქონდა დარგული ხე პატრიარქის მონოდების საპასუხოდ. რამოდენიმე იყო პოლიტიკური პარტიის წევრი. სამმა მონაწილემ აღნიშნა, რომ იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ბილიკის“ მოხალისე.

ბევრი მონაწილეობდა სტუდენტურ თვითმართველობაში, რაც გარკვეულწილად გაპირობებული იყო ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა შერჩევის ტაქტიკით.

მაგრამ ზემოთჩამოთვლილი არ არის საკმარისი. სოციოლოგიური გამოკითხვები, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ საზოგადოებრივი აქტივობისადმი და პოლიტიკისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულებაზე მიუთითებენ. საქართველოს ახალგაზრდობის კვლევის ეროვნული ანგარიშის მიხედვით (2009) საქართველოს მასშტაბით ახალგაზრდობის 79 პროცენტმა განაცხადა რომ არ იღებს მონაწილეობას საზოგადოებრივ აქტივობებში. ბოლო წლებში ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ 54 პროცენტმა მიიღო, ხოლო 88 პროცენტმა განაცხადა, რომ არ იღებს მონაწილეობას პოლიტიკურ აქტივობებში. იდეგ უფრო შემამოფოთებელია ის, რომ გამოკითხულთა 44 პროცენტი არ იზიარებს დემოკრატიის ძირითად ღირებულებას, მას აუცილებლად არ მიაჩნია საკუთარი მოსაზრების თავისუფლად გამოხატვა.

მონაწილეობის სიმცირეზე მიუთითა ანკეტური გამოკითხვის მონაწილეთა უმრავლესობამ (63.6 პროცენტი).

ჯგუფური განხილვების მონაწილეთა უმრავლესობამ ასევე არადამაკმაყოფილებლად შეაფასა ჩართულობის დონე. გამო-
ნაკლის წარმოადგენდენ სტუდენტობის ზოგიერთი ლიდერე-
ბი და ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ორგანიზა-
ციის წარმომადგენლები. ამდენად ახალგაზრდობის აქტიობის
შეფასება მნიშვნელოვნად აღმოჩნდა დამოკიდებული პირად
გამოცდილებაზე. ამასთან აქტიური ახალგაზრდები სხვების
აქტიობის გამოხატულებად მიიჩნევენ მონაწილეობას სტუდენ-
ტების საქმიანობაში.


*ახალგაზრდები აქტიურად იღებენ მონაწილეობას
სტუდენტების ღონისძიებებში, არიან ინიციატი-
ვიანი, მონესრიგებულნი და სიცოცხლის მოყვა-
რულნი (სტუდენტთა თვითმმართველობის ჯგუ-
ფის მამაკაცი მონაწილე).*

მონაწილეობა ერთმნიშვნელოვნად დადებითად არ არის
აღქმული. ზოგიერთი არ იწონებს ახალგაზრდობის პოლიტი-
კაში აქტიურ ჩართვას.

*ახალგაზრდობამ თავის საქმე უნდა აკეთოს და არ
არის მიზანშეწონილი მიტინგებზე სიარული თუ
პოლიტიკური პარტიების დავალებების შესრულე-
ბა (კერძო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი
გოგონა).*

ფოკუს ჯგუფებში აღინიშნა ქალაქსა და რეგიონებში შო-
რის არსებულ ახალგაზრდობის აქტიობის განსხვავებული დო-
ნის არსებობა. დისკუსის მონაწილეთა უმრავლესობამ აღნიშნა
რეგიონებთან შედარებით ახალგაზრდობის აქტიობის უფრო
მაღალი დონე დედაქალაქში, თუმცა საწინააღმდეგო აზრი იქნა
გამოთქმული ერთ-ერთ ინტერვიუში.

*მერე თბილისში პირიქით წამოვიდა, რომ ხალხს
აღარაფერი აღარ აინტერესებს, პრინციპში ეხლა
ზუსტად ეს პერიოდი გვაქვს, ნაკლებად მოდის
ხალხი მოხალისეებად. რეგიონებში პირიქით, გა-
აქტიურდა ახალგაზრდობა. არ ვიცი რას დავაბრა-
ლო, რა ხდება არ ვიცი, ეხლა ზუსტად პერიოდი
გვაქვს, რომ რეგიონებში უფრო კარგი ახალგაზრ-
დები მოდიან, (ინტერვიუ გიორგი ციმინტიასთან).*



ნახ.3

ახალგაზრდობის მონაწილეობის სიმცირის მიზეზები
წყარო: ანკეტის მონაცემები (N=55)

6. მონაწილეობის პირობები

კვლევის შედეგების მიხედვით ახალგაზრდობის მონაწილეობის სიმცირის ძირითად ფაქტორს მოტივაციის ნაკლებობა წარმოადგენს. მოტივაცია რთული კონსტრუქტია და იგი პირობათა მთელი რიგის გამერთიანებელ ცნებად შეიძლება იქნეს განხილული. საზოგადოებრივ ცნობილია, რომ ჩართულობის, განსაკუთრებით პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის პირობებს წარმოადგენს მონაწილეობის სურვილი და მისთვის დროის ქონა, მონაწილეობის ხელშემწყობი გარემოს არსებობა, და მიწვევა მონაწილეობისათვის.

6.1. სურვილი და დრო

მონაწილეობის სურვილი და მისთვის დრო ახალგაზრდობას საკმარისზე მეტი აქვს. თუმცა მრავალი მონაწილე მონაწილეობის ნაკლებობის ძირითად მიზეზად მოტივაციის არ ქონას ასახელებს. რასაკვირველია, სურვილი მოტივაციის მხოლოდ ერთ კომპონენტს წარმოადგენს და მის ნაკლებობაში სურვილის ქონა არ ქონის გარდა სხვა მიზეზებიც უნდა ვეძიოთ.

მოხალისეობა ადრეულ ასაკში.

ცნობილია, რომ სურვილს და ფაქტიურ მონაწილეობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადრეული ასაკის გამოცდილება. მნიშვნელობა არ აქვს ეს ადრეული მონაწილეობა არის სავალდებულო (მაგ. სკოლის მოთხოვნა), თუ ნებაყოფლობითი, ფორმალური თუ არა ფორმალური.

მრავალი მონაწილე, განსაკუთრებით რეგიონებში სიამოვნ-

ნებით იხსენებდა სკოლაში სწავლის დროს სხვადასხვა აქციებში მონაწილეობის გამოცდილებას. ახალციხეში მილსადენის გაყვანასთან დაკავშირებით „ბრიტიშ პეტროლიუმი“ აფინანსებდა ეკოლოგიურ პროგრამებს. მონაწილეები იხსენებდნენ ნაკრძალში მუშაობას, ტერიტორიების დასაუფთავებას და სხვა აქტიობებს. ასევე სკოლები ახორციელებდნენ ექსკურსიებს ძეგლებზე, ეკლესიების დასაუფთავებასა და აღდგენით სამუშაოებს.

ინერტულობა

მონაწილეებმა აღნიშნეს ახალგაზრდების ინერტულობა, მოტივაციის სიმცირე.

ახალგაზრდობა არ არის მონდომებული. არ უნდა იჯდე და არ უნდა ელოდო როდის დაგიძახებენ, თვითონაც უნდა მოიფიქრო რამე და დაგეგმო. ამისთვის დღევანდელი ახალგაზრდობა არ არის მზად (ჯგუფის მონაწილე ქალი თელავში).

პასიურობის მიზეზად ასახელებენ:

- ქვეყანაში და მათ რეგიონებში არსებულ მდგომარეობას.

ახალგაზრდობა მოქცეულია ბანალური ერთფეროვნების ბურუსში, არაფერია საინტერესო და არაფერს არ აკეთებენ. ამიტომაც, ვერაფერში ჩართვები (ჯგუფის მონაწილე ქალი ბათუმში).

რეგიონში ძალიან იშვიათად ხორციელდება რაიმე საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტი და თუ რამე კეთდება შეიძლება მხოლოდ „ვილაც“ 20 ახალგაზრდა იყოს ჩართული და სხვისთვის იქ უკვე ადგილი აღარ არის (გორის ჯგუფის მონაწილე).

ომის შემდეგ ახალგაზრდობაში საერთოდ გაქრა რაიმეს კეთების სურვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საშინელების შემდეგ ახალგაზრდობას მხარში არავინ არ ამოდგომია და მათზე არავის უფიქრია (დევნილთა ჯგუფის წევრი გოგონა).

- დროის არასწორად გამოყენებას და დროის სიმცირეს

სტუდენტებს დრო არ რჩებათ, რადგან პარალელურად მაღალანაზღაურებად სამუშაოს ეძებენ, რათა მოახერხონ სწავლის საფასურის დაფარვა. (მამაკაცი თელავის ჯგუფში).

ახალგაზრდები დროს სწორედ ვერ გეგმავენ. შეიძლება 2 საათი გავიდეს და არფერი გააკეთო, არადა ეს ძალიან ცუდია (პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი გოგონა).

- ეკონომიურ მდგომარებას

ბევრ მონაწილეს სიღუბნურ სერიოზულ დამაბრკოლებელ პირობად მიაჩნია.

ადამიანი, როდესაც თვითონ გაჭირვებულია, არაფრის კეთების სურვილი აღარ აქვს, სულ იმაზე ფიქრობს, რომ საქმლის ფული იშოვნოს (მამაკაცი დევნილი ახალგაზრდების ჯგუფიდან).

როცა ცოტა გაქვს ფული და პრობლემები გაქვს, ძნელია. გართობაზე იფიქრო და რამეში ჩაერთო (სტუდენტთა თვითმმართველობის ჯგუფის მონაწილე გოგონა).

ყველაფერი თანხებთან არის დაკავშირებული, რატომ არ დავდივართ სპორტზე, რატომ არ დავდივართ ცეკვაზე, იმიტომ, რომ მაგის სახსრები არ არის, იმიტომ რომ ძალზე მცირე ხელფასი აქვს დედას, მამას, რომელიც ყოფნით მარტო გამოსაკვებად, ან ცოტა ჩასაცმელად, სპორტისთვის იქ უკვე სახსრები არ რჩებათ (პროფესიული სასწავლებლის გოგონა).

ბავშვებზე ძალიან მოქმედებს ოჯახში არსებული მდგომარეობა. მე მაგალითად ვიცი ერთი ოჯახი, მას მერე რაც ოჯახმა თავისი მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესა – ბავშვებს ვერ იცნობთ, სულ გა-

მოიცვალნენ, ყველაფერი აინტერესებთ, ყველაფერში იღებენ მონაწილეობას (მამაკაცი თელავის ჯგუფში).

- განათლების დონეს მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ გაუნათლებლობა ხელს უშლის ახალგაზრდებს ჩაერთონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ის რომ უმეტესობა არაფერში არ იღებს მონაწილეობას, გამომწვეულია იმით, რომ მათ უბრალოდ რცხვენიათ წარსდგენენ ისეთებად, როგორებიც არიან. ბევრმა წესიერად მეტყველებაც არ იცის, არაფერი არ იციან და საშინელ ჩარჩოებში არიან ჩაკეტილები, ჩარჩოებში და დოგმებში და ამას ტრადიციებს არქმევენ (თელავის ჯგუფის მამაკაცი მონაწილე).

- კომპიუტერს ახალგაზრდების დამოკიდებულება კომპიუტერის მიმართ არაცალსახაა. ყველა მიუთითებს მის მნიშვნელობაზე, მაგრამ ასევე აღნიშნავენ, რომ კომპიუტერი ინვესს პასიურობას.

ეხლა თითქმის არც ერთი ახალგაზრდა არაფრით არ არის დაკავებული, კომპიუტერს უზიან (პროფესიული სასწავლებლი სტუდენტი გოგონა).

იმის მაგივრად, რომ წავიდნენ და თვითონ დაუკრან, კომპიუტერში უსმენენ მუსიკას, გაზარმაცებულია თაობა (პროფესიული სასწავლებლი სტუდენტი ბიჭი).

თუ შენ 4-5 საათამდე კომპიუტერთან იჯდები, მეორე დღისთვის აღარაფრისთვის აღარ ივარგებ და ელემენტარულად შემდეგ ღამის ცხოვრების წესი იქცევა შენი ცხოვრების წესად (პროფესიული სასწავლებლი სტუდენტი ბიჭი).

6.2. ბარემო

ყველაზე თვალშისაცემ პრობლემას მონაწილეობის პირობების ნაკლებობა წარმოადგენს. არ არის ადგილი, სადაც შეიძლება ახალგაზრდობა შეიკრიბოს, არ არის ურთიერთობის ან ჯგუფური საქმიანობის კონტექსტი.

არ არსებობს ადგილები, სადაც ახალგაზრები შეიძლება ნავიდნენ, შეხვდნენ ერთმანეთს, გაცვალონ აზრები და სხვა (მარნეულის ჯგუფის მონაწილე მამაკაცი).

ახალგაზრდები უჩივიან უფასო წრეების არ არსებობას. ინტერესების დაკმაყოფილება ფინანსებთან არის დაკავშირებული, რისი საშუალებაც უმრავლესობას არ აქვს.

6.3. მინევა მონაწილეობაზე

მონაწილეობის ერთერთ პირობას მონაწილეობაზე მოპატიჟება ანუ საქმეში ჩართვის წინადადების მიღება წარმოადგენს, რაც თავისმხრივ, როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, ასევე ლიდერთა ეფექტურ საქმიანობაზეა დამოკიდებული.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაციის ნაკლებობა მნიშვნელოვან ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს. ჯგუფის წევრები მიუთითებდნენ ინფორმაციის ნაკლებობაზე იმ იშვიათ შესაძლებლობების თაობაზე, რომელთაც შეეძლოთ მათი მათი მონაწილეობას თუ დასაქმებას გაპირობება.

საუბარი ასევე შეეხო სტუდენტური მოძრაობების მიკერძოებას. ბევრმა მონაწილემ აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობა ფლობს გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ ისინი ამ ინფორმაციას ან არ ავრცელებენ შეგნებულად, რომ თვითონ იყვენენ მხოლოდ ჩართულები ან მხოლოდ თავიანთ ახლობლებს აწვდიან ამ ინფორმაციას და შესაბამისად, მათ რთავენ საქმიანობაში.

ლიდერების სიმცირე

არაფორმალური კავშირები, პირადი ურთიერთობები გადამწყვეტ როლს თამაშობენ ადამიანების საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობაში ჩართვაში. მობილიზაციის ინიციატორებად კი ჩვეულებრივ ფორმალური თუ არაფორმალური ლიდერები გვევლინებიან.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია პოტენციურ ლიდერთა იდენტიფიკაცია, მათი ლიდერებად ჩამოყალიბება და მხარდაჭერა. მრავალი ახალგაზრდა თავის პასიურობას იმით ხსნის, რომ მათ არავენ არ ეძახის. დამიძახონ და მივალ-იყო ბევრის პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არ არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

არის ლიდერების სიმცირე, რომლებსაც ძალუძთ მოახდინონ მოხალისეთა მობილიზაცია ნებაყოფლობითი საქმიანობის განსახორციელებლად. პრობლემას ასევე წარმოადგენს ლიდერების მიერ მონაწილეობის არსის სწორი გაგება. სტუდენტობის ლიდერების საუბარში გამოიკვეთა უფრო პატერნალისტური, ვიდრე მონაწილეობითი დამოკიდებულება სტუდენტობის რიგით წევრების მიმართ, რაც აისახა ისეთ განცხადებებში, როგორცაა მაგ.

ამბობდნენ დისკოთეკა გვინდაო, ჩვენ გავუკეთეთ, მაგრამ არ მოვიდნენ და ისევ დავხურეთ (ახალციხის ჯგუფის მონაწილე გოგონა)

მონვევა მონაწილეობაზე

მონაწილენი მიუთითებენ, რომ თავს უგულველყოფილად გრძნობენ.

ჩვენი აქტიურობა არავის არ სჭირდება და აბა სად უნდა ვიაქტიუროთ, რა უნდა გავაკეთოთ? (დევნილი ახალგაზრდების მამაკაცი ჯგუფის წევრი).

სიამოვნებით მივიღებდით მონაწილეობას, მაგრამ არაფერი გავგიგია, ჩვენთვის არავის არ მოუმართავს (დევნილი ახალგაზრდების მამაკაცი ჯგუფის წევრი).

7. მონაწილეობის გაზრდის გზები

ახალგაზრდები უფრო მეტს და უფრო თავდაჯერებულად საუბრობდნენ მონაწილეობის ხელისშემშლელ პირობებზე, ვიდრე ჩართულობის გაზრდის გზებზე. მიუხედავად ამისა, მათ მიერ მონაწილეობის გაზრდის მთელი რიგი საგულისხმო საშუალებები იქნა დასახელებული.

განათლება

ახალგაზრდები განათლების მიღებას მიიჩნევენ მონაწილეობის გაზრდის მნიშვნელოვან პირობად, მიუთითებენ რა სკოლაში განათლების დონის ამაღლების აუცილებლობაზე, სხვადასხვა თრენინგებში და კურსებზე მონაწილეობაზე, ასევე დისკუსიების მოწყობის აუცილებლობაზე.

ახალგაზრდობამ განათლება უნდა მიიღოს და წიგნი უნდა შეიყვაროს. (კერძო უმარლესის სტუდენტების ჯგუფის მამაკაცი წევრი).

განათლების მიღებასა და მონაწილეობის სწავლებაში გადამწყვეტი როლი სკოლას ენიჭება. მონაწილეთა აზრით, სწორედ სკოლაში უნდა მოხდეს ჩართვის ჩვევების ჩამოყალიბება და სასარგებლო საქმის კეთების ღირებულების დამკვიდრება. მათი აზრით კი ეს მოითხოვს სწორ სასკოლო პოლიტიკას, მასწავლებლთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას და სკოლის მატერიალური ბაზის გაძლიერებას.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მონაწილეობის აუცილებელ პირობად მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ქონა წარმოადგენს.

აუცილებელია ინფორმაციის გავრცელება – განცხადებების გამოკვრა, აუდიტორიებში ჩამოვლა და ინფორმაციის მიწოდება, პროექტების შესახებ პრეზენტაციების მოწყობა დიდ აუდიტორიებში. (კერძო უმაღლესი სასწავლებლების მამაკაცი მონაწილე)

ინფორმაციის გავრცელებისათვის კომპიუტერის ფართე გამოყენება და იდეების შეკრება და ამ სახით წარმოდგენა

მიჩნეული.

სპეციალური საიტის შექმნა, სადაც განთავსდება ინფორმაცია სხვადასხვა საქმიანობისა თუ აქციების შესახებ (კერძო უმაღლესი სასწავლებლების მამაკაცი მონაწილე).

საჭიროა უნივერსიტეტებში შეიქმნას ჯგუფი, რომელიც დაამუშავებს იდეებს, დანერს პროექტებს და სხვებსაც აქტიურად ჩართავს ამ პროცესში (კერძო უმაღლესი სასწავლებლების ქალი მონაწილე).

მონაწილეობის სტიმულირება და პროპაგანდა

ახალგაზრდები საუბრობდნენ მონაწილეობის სტიმულირების აუცილებლობაზე, თუმცა ხშირად კონკრეტულად ვერ ასახელებდნენ, თუ რა ფორმით უნდა მოხდეს სტიმულირება.

სადაო გახდა მონაწილეობის მატერიალური განმტკიცებით გაზრდის ეფექტურობა, ზოგი მას ეფექტურად მიიჩნევდა, ზოგი კი მიუღებლად.

გამოითქვა აზრი მონაწილეობის ნახალისების სისტემის შექმნის აუცილებლობაზე.

მოხალისეობის განვითარებას ხელი სახელმწიფომ უნდა შეუწყოს. სასარგებლო საქმის მოხალისედ კეთება ჯერჯერობით არ არის კარგად განვითარებული და ახალგაზრდობაში ამის კეთების სურვილის შექმნაა საჭირო. თანდათან ამას მიეჩვევიან და სხვისთვის კარგი საქმის კეთების სურვილიც გაუჩნდებათ (კერძო უმაღლესი სასწავლებლების მამაკაცი მონაწილე).

ერთ-ერთ საშუალებად ასევე მიიჩნევენ მოხალისეობის სანაცვლად გაცდენილი საათების საპატიოდ ჩათვლას, ან პირად საქმეში მოხალისეობის თაობაზე ჩანაწერის გაკეთებას.

მონაწილეთა აზრით მოხალისეობას აუცილებლად სჭირდება პროპაგანდა. საჭიროა რეგულარული სატელევიზიო გადაცემების, დისკუსიების მოწყობა.

ხელისუფლების გააქტიურება

მონაწილენი მიუთითებდნენ სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობას ახალგაზრდულ საკითხებთან მიმართებაში. ასევე ადგილობრივი ხელისუფლების გააქტიურების აუცილებლობას.

ყველაზე ეფექტური იქნებოდა გამგეობის ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზაციაში. მაგრამ ის საერთოდ არ იჩენს ყურადღებასა და ინტერესს ახალგაზრდული საკითხების მიმართ. (მარნეულის ჯგუფის მამაკაცი მონაწილე)

პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს ხელისუფლების მხრიდან ყურადღების ნაკლებობა. ისინი მიუთითებდნენ ახალგაზრდობის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობაზე.

დღეს უკვე პრეზიდენტიდან დაწყებული, მინისტრებით დამთავრებული, ყველა ახალგაზრდაა და ვფიქრობ, რომ ეს რალაც დონეზე კარგია, მაგრამ როდესაც ეს ადამიანები თანამდებობებზე ხედებიან, ასაკით კი ახალგაზრდები არიან, მაგრამ ახალგაზრდობის პრობლემები მათ თითქოს ავინყდებათ (ინტერვიუ ლევან ჯაფარიძესთან).

დადებითი მაგალითები

ბევრი საუბრობდა გარემოს მნიშვნელობაზე და დადებითი მაგალითების პოპულარიზაციის აუცილებლობაზე.

ჩემი აზრით ბევრი არის დამოკიდებული იმ გარემოზე, რა გარემოშიც ცხოვრობს ადამიანი, განსაკუთრებით გოგოების შემთხვევაში. როდესაც ოჯახი დაინახავს, რომ მეზობლების ბავშვებიც დადიან ასეთ ორგანიზაციებში, ისინიც არ იქნებიან წინააღმდეგი, რომ მათმა შვილებმაც იქ იარონ (მარნეულის ჯგუფის ქალი მონაწილე).

თუ ახალგაზრდა გარშემორტყმულია მხოლოდ პა-

სიური ახლაგაზრდებით, მასაც არ ექნება აქტიურობის სურვილი და როცა დაინახავს, რომ მისი ტოლები, რაღაცას აკეთებენ, მათ რაღაცას მიაღნიეს, მასაც გაუჩნდება აქტიურობის სურვილი (მარნეულის ჯგუფის კაცი მონაწილე).


სპორტული ღონისძიებები უნდა ტარდებოდეს და ახლაგაზრდები მიიზიდონ, რომ მონაწილეობა მიიღონ (მარნეულის ჯგუფის კაცი მონაწილე).

8.ახალგაზრდობის მონაწილეობის ორგანიზების სახეები

მონაწილეობის ერთ-ერთ პირობას მონაწილეობის საშუალებების, შესატყვისი გარემოს არსებობა წარმოადგენს. ამგვარი გარემოს შექმნას და მონაწილეობის სტიმულირებას უპირველეს ყოვლისა სხვადასხვა ორგანიზაციები: სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, მოძრაობები, ეკლესია და საერთაშორისო ორგანიზაციები განაპირობებენ.

ანკეტა, რომელიც ეხებოდა ორგანიზაციის მიზნებს, ძირითად საქმიანობას და საქმიანობის სახეებს, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ მხოლოდ 55 ორგანიზაციამ შეავსო. აქედან უმრავლესობა (75.0 პროცენტი) თბილისში ფუნქციონირებს. გამოკითხულთა შორის 44 არასამთავრობო, 2 სახელმწიფო ორგანიზაცია, 3 სტუდენტური თვითმმართველობა, 2 პარტიის ახალგაზრდული ფრთა და 4 საერთაშორისო ორგანიზაციის ფილიალია.

ორგანიზაციათა სამიზნე ჯგუფებს ძირითადად შეადგენენ ზოგადად ახალგაზრდები, სტუდენტები და მოსწავლეები.



ნახ. 4

სამიზნე ჯგუფები

წყარო: ანკეტის მონაცემები (N=118).

რესპონდენტები რამოდენიმე სამიზნე ჯგუფს ასახელებდნენ

გამოკითხულ ორგანიზაციებს შეეძლოთ დაესახელებინათ 3 ძირითადი მიზანი. მიზნების ყველაზე დიდ ნაწილს დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა წარმოადგენს (34.1 პროცენტი). ასევე ბევრი ორგანიზაცია მუშაობს განათლების სფეროში, ადამიანის უფლებების დაცვაზე და საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციაზე.

ცხრილი 1


ორგანიზაციების მიზნები

№	მიზანი	% N=135
	დემოკრატიის განვითარება	
1	დემოკრატიის მხარდაჭერა	10.4
2	სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება	9.6
3	მონაწილეობის გაზრდა	6.7
4	არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების ხელშეწყობა	3.0
5	კანონის უზენაესობის დამკვიდრება	3.0
6	ტოლერანტობის გაზრდა	2.2
7	მონხალისეობის პოპულარიზაცია	2.2
	სხვა	

8	განათლება	11.1
9	ადამიანის უფლებების დაცვა	8.9
10	ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშეწყობა	6.7
11	ეკოლოგიური პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვა	4.5
12	ახალგაზრდული ორგანიზაციების განვითარება	4.5
13	თავისუფალი დროის, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზაცია	3.8
14	უმცირესობების, შშმპ-ების ინტეგრაცია, პროფესიული ინტეგრაცია	3.8
15	კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება	3.0
16	დასაქმება	2.2
17	ადამიანური რესურსების ჩამოყალიბება და თვით-რეალიზაციის ხელშეწყობა	2.2
18	მდგრადი განვითარების დამკვიდრება და ცხოვრების დონის გაუმჯობესება	2.2
19	ახალგაზრდული პროგრამების შემუშავება, სემინარებისა და კონფერენციების მონაცობა	2.2
20	დევენილების პრობლემები	2.2
21	ახალგაზრდული პოლიტიკის ჩამოყალიბება	0.7
22	საუნივერსიტეტო პროცესების მონიტორინგი	0.7
23	ბიზნესგარემოს გაუმჯობესება	0.7
24	ახალგაზრდობის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადება	0.7
25	პარტიის კურსის მხარდაჭერა	0.7
26	ინფორმაციის მიწოდება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე	0.7
27	ტურიზმის განვითარება	0.7
28	მედიის მხარდაჭერა	0.7
	სულ	100

წყარო: ანკეტის მონაცემები

ანკეტირების თანახმად ახალგაზრდული ორგანიზაციების ძირითად პრობლემას დაფინანსება წარმოადგენს. ფინანსების სიმცირეზე მიუთითა გამოკითხულთა 45.3 პროცენტმა. 17.2 პროცენტმა აღნიშნა კვალიფიცირებული კადრების ნაკლებობა.



ნახ. 5

ახალგაზრდული ორგანიზაციების ძირითადი პრობლემები
 წყარო: ანკეტის მონაცემები (N=64. რესპონდენტებს შეეძლოთ
 დაესახელებინათ სამამდე პრობლემა).

არსებული პრობლემების მოგვარების აგენტებად დასახე-
 ლებულია საკუთრივ ორგანიზაციები, სახელმწიფო, დონორები
 და საზოგადოება.

ცხრილი 2
 ორგანიზაციის პრობლემების მოგვარების აგენტები

№	აგენტი	% N=60
ახალგაზრდული ორგანიზაციები		
1	დაფინანსების მოპოვება	22.2
2	მუშაობის გააქტიურება	15.9
3	კვალიფიკაციის ამაღლება	11.1
4	მენეჯმენტის გაუმჯობესება	6.3
5	კონტაქტების გაფართოება	4.8
6	ახალი წევრების მოზიდვა	3.2
7	ეკოლოგიური პრობლემების პოპულარიზაცია	3.2
8	საზოგადოებაში ქველმოქმედების ღირებულების ჩამოყალიბება	1,6
სახელმწიფო		
9	დაფინანსების გაზრდა	7.8
10	ზრუნვა სამოქალაქო სექტორის განვითარებაზე	4.8
11	ახალგაზრდობის შესახებ კანონის მიღება	3.2
12	მობალისეობის მხარდაჭერა	3.2
13	ეფექტური საგანმანათლებლო პოლიტიკის გატარება	1.6
14	ეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება	1.6

15	ბიზნესის სახელმწიფო წნეხისაგან განთავისუფლება	1.6
16	ქველმოქმედებაზე შეღავათების დაწესება	1.6
	დონორები	
17	დაფინანსების სტრატეგიის შეცვლა	6.3
	სულ	100

წყარო: ანკეტის მონაცემები

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ ახალგაზრდობის ორგანიზებას სხვადასხვა სტრუქტურები ემსახურება. ასეთებია: სახელმწიფო ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, პროფესიული კავშირები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები, სტუდენტური თვითმმართველობა, ეკლესია, სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

8.1.სახელმწიფო სტრუქტურები

2004 წელს ხელისუფლების ცვლილება ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით მოხდა. ქვეყანას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა თაობა. საქართველოს დღევანდელ მთავრობაში ყველაზე ახალგაზრდა მინისტრი 29, ხოლო ყველაზე უფროსი 52 წლისაა. მინისტრთა ასაკის მედიანა 35 წელს უდრის.

რამოდენიმე სახელმწიფო სტრუქტურა მიზანმიმართულად ახალგაზრდობის საკითხებზე მუშაობს.

საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტში არსებობს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოზე მიღების ერთერთ მთავარ კრიტერიუმად ახალგაზრდული ასაკი იქცა, ახალგაზრდობის პრობლემები, მათი მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება და ამის ერთერთი ძირითადი მიზეზი ახალგაზრდობასთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის არ არსებობა წარმოადგენს. აცნობიერებს

რა ახალგაზრდობის მნიშვნელობას და მასზე მიმართული პოლიტიკის საჭიროებას, 2010 წლის 1 ივლისიდან ცალკე იქნა გამოყოფილი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო. სამინისტრო აქტიურად შეუდგა ახალგაზრდული პოლიტიკის განსაზღვრას უახლოესი 5 წლისათვის და მისი შესატყვისი სამოქმედო გეგმის შემუშავებას. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის მონახაზის მიხედვით იგეგმება საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომელშიც შევლენ სხვადასხვა, მაგ, ჯანმრთელობის, განათლების, პრობაციის მინისტრის მოადგილეები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები. სამინისტრო გეგმავს წლიურ ანგარიშგებას საზოგადოებასთან წლიური მოხსენების წარმოდგენის სახით.

სამინისტრო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარებას ვარაუდობს ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის (მის მთავარ ამოცანას პროგრამების შემუშავება წარმოადგენს), ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდისა (მისი მთავარი ამოცანა გრანტების გაცემაა) და ვარციხის ბანაკის ბაზაზე შექმნილი საგანმანათლებლო ცენტრის (სადაც მოხდება ახალგაზრდობის შესაძლებლობების გაზრდა საგანმანათლებლო პროგრამებით) მეშვეობით. სამინისტროს კომპეტენციაში დარჩება პატრიოტთა ბანაკების ორგანიზება. ყოველი რეგიონის გამგეობაში იქნება ახალგაზრდულ საქმეებზე პასუხისმგებელი პირი. რეგიონებში ახალგაზრდული საქმეების კოორდინაციას განახორციელებს სამინისტროს რეგიონალური დეპარტამენტი. სამინისტროში უკვე შექმნილია საინფორმაციო ბაზა.

პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა შესახებ კანონის მიხედვით განსაზღვრული ისეთი ორგანიზაციების მხარდაჭერა, რომელთა 2/3 ახალგაზრდები წარმოადგენენ. პოლიტიკის სტრატეგიულ დოკუმენტის მონახაზში აღნიშნულია, რომ სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერებისა, სხვებზე ზრუნვის განვითარების ხელშეწყობა და თვით-რეალიზაციის საშუალებების შექმნა (ინტერვიუ ალექსანდრე სილაგაძესა და ირაკლი მეგრელიშვილთან).

მერიები და თვითმმართველობები

მერიებთან ფუნქციონირებს ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებები.

თბილისის მერიის ახალგაზრდობის განყოფილების ძირითად მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდული პოლიტიკის ჩამოყალიბება და ახალგაზრდებისა და მათი ორგანიზაციების ხელშეწყობა. მათ სამიზნე ჯგუფს ზოგადად ახალგაზრდობასთან ერთად სოციალურად დაუცველი ახალგაზრდები წარმოადგენენ. მერიის საქმიანობა მრავალფეროვანია. იგი დაკავებულია, როგორც ახალგაზრდული ორგანიზაციების კოორდინაციით, ასევე ინფორმაციის გავრცელებით და თავისუფალი დროის ორგანიზაციით. მერიასთან ფუნქციონირებს ახალგაზრდობის სპორტში ჩართვის პროგრამა. ამ მიზნით 250 მრწვეთელია გამოყოფილი. ასევე 20 ლარია გამოყოფილი 18 წლამდე სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ახალგაზრდობის მოსწავლე-ახალგაზრდობის რაიონულ სახლებთან არსებულ წრეებში მონაწილეობისათვის (ინტერვიუ მაგული შავაშვილთან).

ქუთაისში აქტიურია მერიის ახალგაზრდობის საქმეთა საქალაქო სამსახური, რომელიც ახორციელებს პროგრამებს რამოდენიმე მიმართულებით-ახალგაზრდობის სულიერი პროცესების განვითარების უზრუნველყოფა, სპორტსა და ტურიზმში ჩართვის პროგრამა და ჯანსაღი ცხოვრება, პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება, თავისუფალი დროის ორგანიზება, ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა. ასოციალური ტენედენციებისადმი მიდრეკილი ახალგაზრდობის ქცეის პრევენციის პროგრამა ფსიქოლოგების დახმარებით ხორციელდება 4 საჯარო სკოლაში.

8.2.პარტიების ახალგაზრდული განყოფილებები

ძირითად პოლიტიკურ პარტიებს აქვთ ახალგაზრდული ფრთები. წევრების ასაკი არ არის მკაცრად განსაზღვრული და ასევე ცვალებადობს პარტიებს შორის. ქვედა ზღვარი უფრო მკაფიოდ არის განსაზღვრული და 16, უფრო ხშირად კი 18 წელია (ინტერვიუ ლევან ჯაფარიძესთან და გირშელ ბართაიასთან), თუმცა მიუთითებენ, რომ თუ უფრო მცირე ასაკის წევრმა მოისურვა აქტიობა მას უარს არ ეტყვიან (ინტერვიუ თეიმურაზ

ნიკლაურთან). ზედა ზღვარი ზოგან 24 წელია (მაგ. ნაცმოძრაობა), ზოგან 25 წელი (ფორუმი), ზოგან 28 (ლეიბორისტული პარტია), ზოგან კი 30 ან მეტი წელი (ქრისტიან-დემოკრატები).

იმ პარტიებს, ვისაც აქვს წარმომადგენლობა რეგიონებში, ასევე აქვთ ახალგაზრდული განყოფილებები. ნაციონალურ მოძრაობას და ფორუმს ახალგაზრდული განყოფილებები თბილისის რაიონებშიც აქვთ.

ახალგაზრდულ ორგანიზაციების წევრების ზუსტი რაოდენობა არ არის ცნობილი.

პარტიები ახალგაზრდული ორგანიზაციების სხვადასხვა მიზნებს ასახელებენ. „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა დაასახელა ახალგაზრდობისათვის კარგი პრობლემების მოგვარებაში, იმით რომ უწევენ მათ შუამდგომლობას სახელმწიფო სტრუქტურებთან, ასევე უშვებენ დასასვენებლად. „ალიანსი საქართველოსთვის“ მიზანს წარმოადგენს პოლიტიკური კულტურის გაზრდა. ლეიბორისტული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის მიზნები მთლიანად ემთხვევა პარტიის მიზნებს, რაც მდგომარეობს არსებული პრობლემების გახმოვანებასა და მიუსაფარების დახმარებაში, ქრისტიან-დემოკრატებისათვის კი ახალგაზრდების უფლებების დაცვაა პრიორიტეტული. ეროვნული ფორუმის მიზანს ახალგაზრდების განვითარება და განათლება წარმოადგენს.

საქმიანობის მხრივ პარტიებს შორის მცირე განსხვავებაა, ძირითადი ორიენტაცია აღებულია არჩევნებზე. ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩაბმული საარჩევნო აგიტაციაში, აკრავენ პლაკატებს, აზუსტებენ სიებს, არიგებენ ბროშურებს. თუმცა ზოგიერთ პარტიის, მაგ. „ქრისტიან-დემოკრატების“ ახალგაზრდული ორგანიზაციების რამოდენიმე წევრი იყო მაჟორიტარი კანდიდატი უკანასკნელ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. განსხვავებით სხვა პარტიებისგან, „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც მმართველი პარტიის წევრები ჩაბმული არიან ყველა სახელმწიფო პროგრამის განხორციელებაში. „ეროვნული ფორუმი“ წევრებს სთავაზობს რეგულარულ დისკუსიებს ახალგაზრდების მიერ შერჩეულ თემებზე. პარტიამ ასევე განახორციელა პროექტი „ეკონომიკური სკოლა“, რომელიც 6 თვე გრძელდებოდა. აქტიურად მოქმედებს ჯგუფი, რომელიც მუშაობს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება პროექტი, რომლის

მონაწილენიც სწავლობენ დისკუსიის ხელოვნებას.

პარტიათა უმრავლესობა მიუთითებს, რომ მის აქტივობებში ჩართული არიან ის ახალგაზრდებიც, რომლებიც მათი პარტიის წევრები არ არიან.

ყველა პარტია ძირითად პრობლემად ასახელებს ფინანსურ სიძნელეებს, რომლებიც ახალგაზრდულ ორგანიზაციებს უფრო მეტად აქვთ, ვიდრე პარტიის ძირითად ნაწილს. გრანტები ვრცელდება მხოლოდ სემინარებსა და თრენინგებზე, ისე რომ ორგანიზაციებს არ აქვთ რაიმე აქტივობის დაფინანსების საშუალება. ასევე, როგორც აღნიშნა „ალიანსი საქართველოსთვის“ წარმომადგენელმა რეგიონის ახალგაზრდების პარტიულ საქმიანობაში ჩართვა უფრო რთულია, ვიდრე დედაქალაქის მაცხოვრებლის, რადგან რეგიონებში უფრო მძიმე პირობებია და ახალგაზრდობა დაკავებულია სოფლის პროდუქციის წარმოებით და მათი ამ საქმიანობიდან უსასყიდლოდ მოწყვეტა ძნელია. თუმცა ჩვენს მიერ ახალგაზრდობასთან წარმოებულ დისკუსიებში ეს საკითხი ასე არ გამოიკვეთა. ახალგაზრდობა, განსაკუთრებით რეგიონებში მიუთითებდა თავისუფალი დროის სიჭარბესა და უსაქმურობაზე.

ჭირს ახალგაზრდობის დაინტერესება პარტიის საქმიანობით.

პრობლემად იქნა დასახელებული ასევე სასწავლო დანებსებულებაში, იქ სადაც ახალგაზრდების ყველაზე დიდი კონცენტრაციაა, შესვლა და აგიტაცია. თუმცა ასევე გამოითქვა სურვილი, რომ არ მოხდეს სასწავლებლების პოლიტიზაცია.

პარტიების მიერ პრობლემად დასახელდა ქვეყანაში ახალგაზრდობის შესახებ კანონის არ არსებობა და ზოგადად ახალგაზრდობისადმი პოლიტიკის არ არსებობა.

ძალიან ცოტამ იცის რა არის ახალგაზრდული პოლიტიკა, რატომ არის ის საჭირო, და საერთოდ როგორია ახალგაზრდების როლი. რა დოზით უნდა იყოს ახალგაზრდობა ჩართული ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. (ინტერვიუ შალვა კიკნაველიძესთან)

ახალგაზრდული ფორუმის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა პარტიების მხრიდან ახალგაზრდებისადმი ყურადღების არარეგულარული ხასიათი.

პოლიტიკური პარტიებში მთავარი პრობლემა ის

არის, რომ ახალგაზრდები ახსენდებათ მარტო არჩევნებზე და საპროტესტო აქციებზე, მთავრდება არჩევნები, იკარგება ეს ბავშვები, თავდება მიტინგები, ზოგი გაუბედურებული მერე არავს არ ახსოვს (ინტერვიუ შალვა კიკნაველიძესთან).

8.3. პროფესიული კავშირები

საქართველოს პროფესიულ კავშირის გაერთიანებას აქვს ახალგაზრდული ფრთა, რომელიც გაერთიანებულია ევროპულ და მსოფლიო ახალგაზრდულ პროფესიულ კავშირების სტრუქტურებში. პროფკავშირებს აქვს რეგიონალური განყოფილებები. მათ მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდობის ჩართვა პროფკავშირის საქმიანობაში. პროფკავშირები ახალგაზრდულ ასაკს 14-დან 35 წლით განსაზღვრავენ.

ახალგაზრდული ფრთის წევრები მონაწილეობას იღებენ საპროტესტო აქციებში, აგროვებენ ხელმოწერებს საკანონმდებლო ინიციატივის შესატანად. პროფკავშირები იბრძვიან ახალგაზრდობის პრობლემების მოგვარებაზე, სტუდენტებისათვის ტრანსპორტის საფასურის თაობაზე, ასევე უნივერსიტეტებში ხელმეორედ გამოცდაზე გასვლის გადასახადის მოხსნაზე. პროფკავშირში ბევრი ახალგაზრდა სტაჟირებას გადის იურიდიულ საკითხებზე (ინტერვიუ ირაკლი პეტრიაშვილთან).

8.4. საერთაშორისო ორგანიზაციები და ფონდები

საქართველოში მოქმედი მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ სპეციალურ პროექტებს ახალგაზრდებისათვის.

მსოფლიო ბანკი

მიმდინარე წელს მსოფლიო ბანკის სამოქალაქო ფონდმა, ღია საზოგადოება-საქართველო და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდთან ერთად დააფინანსა 10 ახალგაზრდული პროექტი, რომელთა საერთო ბიუჯეტი 45,000 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს. ფონდი 1999 წელს შეიქმნა, ბოლო სამი წელი ის

ახალგაზრდებზეა ფოკუსირებული. 2010 წლის კონკურსის ძირითად თემას დევნილთა დასაქმება წარმოადგენდა. მსოფლიო ბანკის საქართველოს ოფისში 2004 წლიდან მიმდინარეობს პროექტი ახალგაზრდული ხმები. ეს არის ბანკთან მოქმედი ახალგაზრდული საბჭო, რომლის წევრი 15-24 წლის ახალგაზრდების კონკურსით შერჩევა ხდება 5 წლით. საბჭო მონაწილეობას იღებს სამოქალაქო ფონდის კონკურსის გამარჯვებულთა განსაზღვრაში, აწყობს ახალგაზრდულ ღონისძიებებს (ინტერვიუ ინგა პაიჭაძესთან).

იუნისეფი

იუნისეფის ძირითად სამიზნე ჯგუფს ბავშვები წარმოადგენენ, თუმცა იგი ასევე ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს ახალგაზრდობასთან მიმართებაშიც.

ახალგაზრდობის განათლების საკითხები ასახული იქნება ორგანიზაციის 2011-2015 წლის გეგმაში. ორგანიზაციამ 2009 წელს განახორციელა კვლევა, რომელიც ეხებოდა ახალგაზრდობის პერსპექტივებს და შეხედულებებს განათლებაზე. კვლევის ანგარიში ჯერ არ არის გამოქვეყნებული.

იუნისეფი მუშაობს 14-დან 18 წლამდე პრობაციონერების რესოციალიზაციის საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით შეგროვდა ინფორმაცია და იქმნება მონაცემთა ბაზა საქართველოში არსებულ რესოციალიზაციის რესურსების, კერძოდ არაფორმალური განათლებისა, პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებზე, რეკრეაციის საშუალებებზე, ახალგაზრდობასთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებზე, ციხეში თრენინგების უზრუნველყოფის შესაძლებლობებზე.

იუნისეფი, საქართველოს პარლამენტთან და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად მუშაობს სპორტსა და ფიზიკურ აღზრდაში ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის შექმნაზე (ინტერვიუ მაია ყუფარაძესთან).

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

ფონდის ახალგაზრდული პროგრამა ახორციელებს პროექტს „ახალგაზრდული ბანკი“. პროექტის მიზანია 16-21 წლის ახალგაზრდებში მოხალისეობისა და სამოქალაქო აქტივობის

ჩამოყალიბება და განვითარება, ახალგაზრდების სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციის ხელშეწყობა. პროექტით დაფინანსებულია 8 ორგანიზაცია სვანეთში, კახეთში, გურიაში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. პროექტის მსვლელობაში მისი მონაწილენი სწავლობენ ფინანსების მართვას, თემის განვითარებაზე მიმართული მცირე პროექტების მართვის მეშვეობით.

ღია საზოგადოება – საქართველო

ფონდს არ აქვს სპეციალური ახალგაზრდული პროგრამები, თუმცა ფონდის პროექტის ბენეფიციარები უფრო ხშირად ახალგაზრდები არიან. ბოლო წლებში ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა რამოდენიმე ახალგაზრდული პროექტი. ესენია: 2008-2009 წლებში განხორციელებული ახალგაზრდა დევნილების მხარდაჭერის პროექტი, 2009 წელს განხორციელებული სამოქალაქო ინტეგრაციის საზაფხულო ბანაკები ახალგაზრდებისათვის. 2010 წელს დაფინანსდა ახალგაზრდა დევნილების ადაპტაციისა და დასაქმებაზე მიმართული ორი პროექტი.

ფედერაცია გადაარჩინეთ ბავშვები

გადაარჩინეთ ბავშვები საქართველოში 1993 წლიდან მუშაობს. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ ქუჩის ბავშვები, ქალები და დევნილები. პროექტები ჯანმრთელობაზე, განათლებაზე, ქალებისა და ახალგაზრდობის საჭიროებებზე არის ფოკუსირებული. ორგანიზაციის მიზნებში მონყვლადი მოსახლეობის დახმარების გარდა შედის სამოქალაქო საზოგადოების განვითარება.

ჰაინრის ბიოლის ფონდი

საქართველოში ფონდის ძირითად მიზნებს სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბება, მდგრადი განვითარების მხარდაჭერა და საჯარო დისკუსიების კულტურის ამაღლება წარმოადგენს. მის სამიზნე ჯგუფებს სამოქალაქო საზოგადოება, დევნილები, უმცირესობების წარმომადგენლები და ზოგადად ახალგაზრდები წარმოადგენენ. გენდერული

პროგრამის ფარგლებში ფონდმა 2010 წელს ჩაატარა ახალგაზრდებს შორის კონკუსი „გენდერი და საზოგადოება“, რომლის გამარჯვებულების ესეებიც იქნა გამოცემული ქართულ და გერმანულ ენებზე.

ველდ ვიუენ – საქართველო

ორგანიზაცია საქართველოში მუშაობს ძირითადად ბავშვებზე, თუმცა აქვს ახალგაზრდული პროექტებიც. ასეთია „ახალგაზრდობის სამოქალაქო განათლებისა და თემში მონაწილეობის“ პროექტი, რომელიც ერთდროულად მიმდინარეობს საქართველოსა და რუმინეთში. მისი მიზანია ახალგაზრდობისათვის დემოკრატიული საზოგადოების და სამოქალაქო მონაწილეობის პრინციპების გაცნობა. პროგრამა ფუნქციონირებს სამ ქალაქში – თელავში, ბათუმსა და ქუთაისში. პროექტის მონაწილეები გადაიან თრენინგებს ლიდერობის, დებატების წარმართვის, სამოქალაქო მონაწილეობის, მოხალისეობის და დემოკრატიის მშენებლობის სფეროებში. ახალგაზრდობა ასევე ჩართულია გაცვლით პროგრამაში პარტნიორ ორგანიზაციასთან რუმინეთში. დაგეგმილია სამი ახალგაზრდული ცენტრის ამოქმედება და ახალგაზრდული საბჭოების შექმნა (ინტერვიუ ნუცი ოდიშარასთან).

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო (NRC)

ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად („ალტერნატივა“ და განათლება დემოკრატიისათვის“) ამჟამად ახორციელებს ორ პროექტს მიმართულს ახალგაზრდობაზე. ესენია: სახელობო სწავლება და თანატოლი თანატოლისათვის. პროექტები მიზნად ისახავს დაეხმაროს დევნილ ახალგაზრდობას თვით-რეალიზაციაში, ადაპტაციაში და საბაზისო განათლების მიღებაში. სასწავლო ჯგუფები იფუნქციონირებენ თბილისის, გორის, ახალციხის, სამეგრელოს, იმერეთის და აჭარის პროფესიული განათლების ცენტრებში. დევნილი და ადგილობრივი ახალგაზრდობისათვის გაიხსნება შვიდი კლუბი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ა.შ.შ. საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

USAID და PH International ახორციელებს სამწლიან პროექტს სახელწოდებით: სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამა (ACETT).

პროექტის მიზანია ახალგაზრდების აქტიური ჩართვა დემოკრატიულ პროცესებში და მოქალაქეების მონაწილეობის გაზრდა თემის განვითარებაზე მიმართულ ინიციატივებში. პროგრამა ითვალისწინებს სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას და მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების სწავლებას.

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობა (GTZ)

GTZ პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება – საქართველო“ ერთ-ერთი კომპონენტი ეხება შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის პირობების გაუმჯობესებას. ყურადღება გამახვილებულია მაკრო-დონეზე – ფინანსირებაზე, ძირითად მომქმედ პირთა დიალოგსა და განათლების შრომის ბაზართან შესატყვისობაზე. ახალგაზრდა დევნილთა პროფესიული სწავლება გორში და ზუგდიდში განხორციელდა 2009-2011 წლების პროექტის პირველ ეტაპზე.

8.5. სტუდენტური კავშირები

სტუდენტი ახალგაზრდობის ორგანიზების ძირითად ფორმას სტუდენტთა თვითმმართველობა წარმოადგენს. თვითმმართველობები მოქმედებენ ყველა უმაღლეს სასწავლებელში და ასევე რიგ პროფესიულ სასწავლებლებსა და სკოლებში. ისინი ხელმძღვანელობენ განათლების შესახებ საქართველოს კანონის და კონკრეტული სასწავლო დაწესებულების წესდებით.

თვითმმართველობების საქმიანობა ძირითადად მიმართულია თავისუფალი დროის ორგანიზებაზე, თუმცა რიგი უნივერსიტეტების წესდებებში სტუდენტთა უფლებების დაცვაც არის აღნიშნული.

თვითმმართველობის დაფინანსება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ხდება. ზოგ შემთხვევაში ეს არის ერთი წლისთვის ფიქსირებული თანხა, სხვა შემთხვევებში შემოსავლის 1 პრო-

ცენტიდან 5 პროცენტამდე. პატარა უნივერსიტეტებში უფრო ხშირად ხდება ცალკეული ღონისძიებების დაფინანსება ადმინისტრაციის თანხმობის შემთხვევაში. სანევრო გადასახადი არსად არ არის. თვითმმართველობა არჩევითია, უფრო ხშირად მასში ყველა ფაკულტეტის თითო წარმომადგენელი აირჩევა, ასევე არჩევითია პრეზიდენტი. მისი არჩევა ზოგ დაწესებულებაში ხდება პირდაპირი წესით, ზოგან კი თვითმმართველობის წევრების მიერ.

თვითმმართველობის წევრები ჩართული არიან საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში. ისინი ფაკულტეტის საბჭოს 1/3-ს და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს -1/4-ს წარმოადგენენ და ამგვარად ფლობენ მნიშვნელოვან ზემოქმედების ბერკეტს საუნივერსიტეტო გადანყვეტილებების მიღებაზე.

რიგი რესპონდენტებისა (ინტერვიუ გიორგი ციმინტიასთან, ჯაბა ჯიშკარიანთან და შალვა კიკნაველიძესთან) მიუთითებენ სტუდენტური თვითმმართველობის პოლიტიზაციის, მათზე ნაციონალური მოძრაობის დიდ ზეგავლენაზე და მათი საქმიანობის ნაკლებ ეფექტურობაზე.

8.6. ეკლესია

ეკლესია ერთერთ აქტიურ მათგან იხეზებულ ძალას წარმოადგენს. მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის უდიდეს ნაწილს ახალგაზრდობა წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის აქტიობებში ხდება თაობათა შეხვედრა და თანამშრომლობა. ეს აქტიობები კი მოიცავს, როგორც სახელობო კურსებს, ასევე ძეგლებზე გასვლას და მოლოცვებს.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებობს სხვადასხვა სასწავლებლები, მაგ. თბილისის სასულიერო აკადემია, სემინარია და საღვთისმეტყველო ინსტიტუტი, დეკორატიული მებაღეობისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი, მონყალეების დებისა და სოციალური მედიცინის ინსტიტუტი რომლებიც მონოდებული არიან მოამზადონ საქართველოს ეკლესიისთვის საჭირო სასულიერო, პედაგოგიური და მეცნიერული კადრები.

4 წლიანი სასწავლებელი გახსნილი აქვს კათოლიკურ ეკლესიას ვალეში, სადაც ისწავლება უცხო ენები და რელიგიათმცოდნეობა.


8.7.სათემო ორგანიზაციები

გამოკითხვამ წარმოაჩინა სათემო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი როლი მონაწილეობაში. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებულ პროექტში ჩამოყალიბებულ იქნა სათემო ორგანიზაციები, მათმა ერთმა ნაწილმა გაიარა რეგისტრაცია, როგორც კავშირმა, დიდი ნაწილი არ არის რეგისტრირებული. პროექტმა დააფინანსა კომპიუტერის და გასამრავლებელი აპარატის შეძენა, ინტერნეტის მოხმარების, ტელეფონის, დენისა და გათბობის გადასახადების დაფარვა. პროექტი ხელფას უხდის ერთ 18-დან 35 წლამდე ასაკის კოორდინატორს. სათემო ორგანიზაციების მიზანია ადგილობრივი პრობლემების იდენტიფიკაცია და მათი მოგვარება. მსგავსი მიზანი აქვს ჯავახეთის ახალგაზრდობის ფორუმსაც, რომელიც ახალქალაქში მოქმედებს. აქ ახალგაზრდები სარგებლობენ ჯავახეთის სამოქალაქო ფორუმის ფართით და საშუალებებით. ახალგაზრდები კონკურსის წესით შეირჩევიან და გადაიან თრენინგებს იმ უნარების შესაძენად, რაც აუცილებელია ოფისში დასაქმებისათვის. მეტეხის დევნილთა დასახლებაში არსებული ცენტრი აღჭურვილია ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით, აქვე ტარდება სხვადასხავ წრეების მეცადინეობა. გორში მდებარე დევნილთა დასახლებაში ვერსებზე მოქმედებს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს ასწავლიან პროექტების წერას.

8.8.არასამთავრობო ორგანიზაციები


ანკეტური გამოკითხვის მიხედვით არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩამოყალიბება 1993 წელს დაიწყო. მუშაობის 9-დან 17 წლამდე გამოცდილება აქვს გამიკითხულ ორგანიზაციათა თითქმის ერთ-მესამედს. 2001-2006 წლებიდან ფუნქციონირებს ორგანიზაციათა 35 პროცენტი 1-დან 4 წლამდე მუშაობის გამოცდილება აქვს 32 პროცენტს. ორგანიზაციის ხელმძღვანელები უმრავლეს შემთხვევაში (59.1 პროცენტი) მამაკაცები არიან, თუმცა წამყვან სამ თანამშრომელთა შორის უფრო მეტი ქალი (56.0 პროცენტი) იქნა დასახლებული. არასამთავრობო ორგანიზაციათა თანამშრომელთა რაოდენობა 2-დან 40-მდეა, უფრო ხშირად კი ხუთია. ორგანიზაციათა უმრავლესობა რაიმე სახის საგანმანათლებლო აქტიობას ეწევა. ასევე ბევრი ორგანიზაცია არის და-

კავებული ინფორმაციის შეგროვებითა და გავრცელებით.




ნახ.6
არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სფეროები
წყარო: ანკეტირება (N=44)

სამუშაო სფეროების შესაბამისად ორგანიზაციების ყველაზე მეტად გავრცელებულ საქმიანობას (90.7 პროცენტი) თრენინგებისა და სასწავლო კურსების, შემდეგ კი კვლევა და ინფორმაციის გავრცელება (76.7 პროცენტი) წარმოადგენს.



ნახ.7
არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის სახეები
წყარო: ანკეტირება (N=44)

გამოკითხულ ორგანიზაციათა 86.4 პროცენტს 2007-2009 წლებში ერთი პროექტი მაინც ქონდა დაფინანსებული. ამჟამად დაფინანსება აქვს 78.0 პროცენტს. დაფინანსების წყაროს ძირითადად უცხოეთის ფონდები (74.4 პროცენტი), საელჩოები და საერთაშორისო ორგანიზაციები (62.8 პროცენტი) შეადგენენ.



ნახ. 8

არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების წყაროები
წყარო: ანკეტირება (N=44)

სხვადასხვა პროფილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ ახალგაზრდობაზე, მათ შორის პროფესიული განვითარების, საგანმანათლებლო, უმცირესობათა და მარგინალური ჯგუფების ინტეგრაციაზე მიმართული, უფლებების დამცავი, ეკოლოგიური ორგანიზაციები და საინფორმაციო და მაკოორდინირებელი ცენტრები. გარდა ამისა არსებობენ ახალგაზრდული ორგანიზაციების გაერთიანებული ორგანოები – საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო და ახალგაზრდული ფორუმი. ნაციონალური საბჭო, რომელიც 1995 დაფუძნდა ამჟამად 48 ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციას აერთიანებს. 2000 წლიდან ის ევროპის ახალგაზრდობის ფორუმის წევრია. საბჭოს მიზანია ღია, ტოლერანტული და დემოკრატიული საზოგადოების განვითარება; ახალგაზრდობის გააქტიურება სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართვის გზით. ახალგაზრდული ფორუმის მიზანს ახალგაზრდული ორგანიზაციების კოორდინირება წარმოადგენს.

პროფესიული განვითარების

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ცალსახად ყველაზე ცნობილ და წარმატებულ არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენს. ორგანიზაცია 1994 წელს დაარსდა და მის ძირითად მიზნებს კანონის უზენაესობის მხარდაჭერა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა და მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს. იგი წევრობაზე დაფუძნებული ორანიზაცია, რომელიც 600 წევრს აერთიანებს, რომლებსაც ხელს უწყობს პროფესიული ცოდნის დახვეწაში. ასოციაციასთან ფუნქციონირებს სამართლებრივი დახმარების ცენტრი, რომელიც უფასო მომსახურებას უწევს მოქალაქეებსა და ორგანიზაციებს. მისი მომსახურებით დღემდე 10.000 მოქალაქემ ისარგებლა. ორგანიზაციას აქვს ფილიალები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

საქართველოს ახალგაზრდას იურუსტთა ასოციაციის გარდა ქვეყანაში მოქმედებს მთელი რიგი პროფესიული ნიშნით გაერთიანებული ახალგაზრდული ორგანიზაციები. ერთ-ერთ წარმატებულ ორგანიზაციას წარმოადგენს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. ასოციაციის წევრობა ასაკით არ არის განსაზღვრული. მას აქვს ფილიალები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში. მათ კოორდინაცია თბილისის ოფისის მიერ ხორციელდება, თუმცა ისინი ცენტრისგან დამოუკიდებელ საკადრო და ფინანსურ პოლიტიკას აწარმოებენ. ასოციაცია სამი მიმართულებით მუშაობს: ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება ქვეყანაში, რაც გულისხმობს მცირე და საშუალო ბიზნესთან მუშაობას საკანონმდებლო კუთხით; ბიზნესის რეგულირება და მისი საჭიროებების ადვოკატირება – სახელმწიფო ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა, სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შექმნაში მონაწილეობა; ახალგაზრდა ეკონომისტებთან მუშაობა.

პრობლემას პროფესიულ ორგანიზაციების შემთხვევაშიც დაფინანსების სიმცირე და არარეგულარული ხასიათი წარმოადგენს. ყირს სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა.

საკმაოდ რთული არის სახელმწიფო სტრუქტურებთან მუშაობა, მათთან თითოეული საკითხის უბრალოდ განხილვა და შემდგომში რაღაც შეთანხმებამდე მისვლა, ყოველთვის ძალიან რთული და

ხანგრძლივი პროცესია (ინტერვიუ გიორგი ციმინტიასთან).

ასევე პრობლემას წარმოადგენს მოხალისეობა.

მოხალისეების ინსტიტუტი ძირითადად უფრო ივსება იგივე მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოსული მოხალისეებით, ვიდრე ვთქვათ ჩვენი ქართველებით (ინტერვიუ გიორგი ციმინტიასთან).

საგნამანათლებლო ორგანიზაციები

ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის ბევრის ძირითად ფუნქციას განათლების მიწოდება წარმოადგენს. განათლების მიცემა წამყვანია ასევე მთელ რიგ სათემო ორგანიზაციებში.

კომპიუტერზე მუშაობას, ინგლისურს, ოფისში მუშაობას და პროექტების წერას და მართვას ასწავლიან მესხ დემოკრატთა კავშირის მიერ ორგანიზებულ კურსებზე. ასევე მარნეულში მოქმედ ორგანიზაციებში, ისეთებში როგორიცაა „არასმათავრობო სექტორის განვითარების ცენტრი“ და „ახალგაზრდობის ინტეგრაციის ცენტრი“. გორში მოქმედი ორგანიზაცია „ბილიკი“ ასევე სთავაზობს ახალგაზრდობას კურსებს. აღსანიშნავია, რომ იქ მასწავლებლებად ახალგაზრდა მოხალისეები არიან. ამგვარი კურსების გავლაზე მოთხოვნილება ყველგან დიდია, რადგან განათლება წარმოადგენს ახალგაზრდობის ძირითად პრობლემას და ასევე დასაქმებასთან არის დაკავშირებული. სამოქალაქო განათლებას ემსახურება საქართველოს გაეროს ასოციაცია, რომელსაც ოფისები აქვს გორში და ქუთაისში. ორგანიზაცია „რუკები – კავკასია“ მუშაობს საქართველოს რუკის ელექტრონულ ვერსიაზე და ახალგაზრდობას ასწავლის გლობალურ პოზიციონირების სისტემის, GPS – ის გამოყენებას.

„აფხაზეთის“ ზუგდიდის ფილიალი დევნილებს სთავაზობს სახელობო კურსებს. ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა დაეუფლონ დალაქის, კოსმეტოლოგის, მკერავის, კომპიუტერის, მობილური ტელეფონისა და ავტომანქანის შემკეთებლის პროფესიებს.

ინტეგრაციაზე მიმართული ორგანიზაციები

კონფლიქტის მიმდებარე ზონებში ორგანიზაციები უმთავრესად დევნილი ბავშვებისა და ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიმართულებით მუშაობენ. ინტეგრაციაზე მიმართული ასევე ეროვნულ უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციები. მათი მანდატი ნაწილობრივ ემთხვევა სათემო და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მანდატებს. ევრაზიის ფონდის მიერ დაფინანსებული ახალგაზრდობის იდეის ფარგლებში ხდება ძირითადად დევნილი ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის თავისუფალი დროის ორგანიზება. ხელობის შესწავლას ან დახმარებას უმაღლესში ჩასაბარებლად ახალგაზრდებს უწევს ორგანიზაცია SOS ბავშვთა სოფელი. ორგანიზაცია „დეა“ დევნილ ახალგაზრდების გარდა ასევე ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციას.

უფლებების დამცავი ორგანიზაციები

ბევრი არ არის ისეთი ორგანიზაცია, რომლის ძირითად საქმიანობასაც უფლებების დაცვა წარმოადგენს. მარნეულში მოქმედებს „აზერბაიჯანელ ქალთა კავშირი“, რომლის ერთერთ მთავარ მიზანი ქალთა უფლებების დაცვაა, განსაკუთრებით ოჯახური ძალადობის შემთხვევებში.

ეკომოდრაობები

საქართველოში მოქმედებს რამოდენიმე ეკოლოგიური მოძრაობა. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს ახალგაზრდული ეკოლოგიური მოძრაობა, რომლის ძირითად მიზანს ეკოლოგიური ცნობიერების პროპაგანდა წარმოადგენს. რეგიონალური ეკოლოგიურ ორგანიზაციებს (მაგ. CENN, REC) აქვთ კარგად განვითარებული საინფორმაციო ქსელები.

საინფორმაციო ცენტრები და მაკოორდინირებელი ორგანიზაციები

ქვეყანაში არსებობს რამოდენიმე საინფორმაციო ცენტრი, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ახალგაზრდობის ინფორმირება სხვადასხვა საკითხებზე და ასევე მათი ცოდნის გაღრმავება. თბილისის მერიისა და ახალგაზრდული ფორუ-

მის ინიციატივით შექმნილია საქართველოს ახალგაზრდობის საინფორმაციო ცენტრი www.youth.ge. ცენტრის მიზანია ახალგაზრდული ორგანიზაციების საინფორმაციო მხარდაჭერა და კონსულტირება. ვებ გვერდზე განლაგებულია ინფორმაცია საზღვარგარეთ სწავლებისა და სტიპენდიების მიღების შესაძლებლობებზე, დამსაქმებელ ორგანიზაციებზე, ფორმალური და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობებზე.

ინტერნეტსაიტები

ინტერნეტსაიტები სულ უფრო მზარდ როლს თამაშობენ ახალგაზრდობის საქმიანობის ორგანიზებაში.

საიტის Karavi.ge-ის მეშვეობით, სადაც ნებისმიერი ასაკის ახალგაზრდას შეუძლია განეწიანდეს, ეწყობა სხვადასხვა ლაშქრობები, ქალაქგარეთ გასვლები, ექსკურსიები.

ეკლესიური ფორუმი iberia.tv.ge-ს მეშვეობით ეწყობა მოლოცვები.

Facebook-ი ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, რომელსაც ახალგაზრდობის დიდი ნაწილი იყენებს.

9. დასკვნები და რეკომენდაციები

მონაწილეობა, რომელიც დემოკრატიის საფუძველს წარმოადგენს, ადამიანის ძირითადი უფლების კონტექსტში უნდა იქნეს განხილული, რადგან იძლევა საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის გრძნობას, ხელს უწყობს სოციალური კაპიტალის შექმნას, ზრდის თვით-შეფასებას.

საზოგადოებრივი აზრის არსებული გამოკითხვება და არჩევნების მონაცემები ერთმნიშვნელოვნად მიუთითებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის ჩართულობის სიმცირეზე. მცირე გამონაკლისით ამასვე აღიარებენ ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები. მონაწილეობის მცირე ოდენობის მიზეზად ყველაზე ხშირად ახალგაზრდებში მონაწილეობის მოტივაციის სიმცირე სახელდება. წარმოადგენს რა, რთულ ფსიქოლოგიურ კონსტრუქტს მოტივაცია შეიძლება მრავალი ფაქტორით იყოს გაპირობებული:

სახელმწიფო პოლიტიკა

ქვეყანაში ახალგაზრდობასთან მიმართებაში არ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო პოლიტიკა და შესაბამისად სამოქმედო გეგმა. არ არის კანონი ახალგაზრდობის შესახებ, რომელიც მრავალ ქვეყანაში არეგულირებს სახელმწიფოსა და ახალგაზრდობის ურთიერთობას.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ცალკე გამოყოფით შეიქმნა ახალგაზრდობის საქმეების უკეთ მართვის საფუძველი. დამუშავების პროცესშია სტრატეგიული გეგმა, იგეგმება ახალგაზრდობის შესახებ კანონის საჭიროების განხილვა. სამინისტროს ხელმძღვანელობა და თანამშრომლები მოტივირებული არიან და აქვთ ახალგაზრდულ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება.

- აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირების პროცესი წარმართოს ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობით. სასურველია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელშიც სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად შევლენ ახალგაზრდული და ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები, სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დონორები. პოლიტიკა უნდა გახდეს საზოგადოების განხილვის საგანი და მის საბოლოო ვარიანტში უნდა აირეკლოს ყველა გამოთქმული ღირებული მოსაზრება.

სუსტია კავშირი სახელმწიფოსა და ახალგაზრდობას შორის. ახალგაზრდობა ვერ გრძნობს სახელმწიფოს ზრუნვას. ახალგაზრდულ ორგანიზაციები დიდი ნაწილი უჩივის ინტერესის სიმცირეს და ხელისუფლებასთან კონტაქტის ნაკლებობას, თუმცა ასევე დაგროვილია ზოგიერთი რაიონის ახალგაზრდობის თვითმმართველობასთან ურთიერთობის დადებითი გამოცდილებაც.

- გამგობასთან კავშირი აუცილებელია ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად და ზოგადად გადანყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის განსახორციელებლად. ამდენად კარგი იქნება ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომელთა აქტიობებიც გამიზნულია განხორციელდეს არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობით.

პოლიტიკური ფონი

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ფონი მნიშვნელოვნად განაპირობებს ახალგაზრდობის პასიურობას. მოსახლეობა უნდობლობას და ინდიფერენტულ დამოკიდებულებას გამოხატავს პოლიტიკური სპექტრის უდიდესი ნაწილის მიმართ. ასევე ნდობის დიდი დეფიციტი აღინიშნება სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, რაც ცნობილია რომ ხელს უშლის სოციალური კაპიტალის ერთერთი კომპონენტის, სხვებისადმი გენერალიზებული ნდობის ჩამოყალიბებას.

- **პარტიების მიერ ინიცირებული, ქვეყანისთვის მნიშვნელოვანი პრობლემების და მათ გადაწყვეტის გზების განხილვაზე მიმართული აქტივობები ხელს შეუწყობს მონაწილეობის გაზრდას, ფაქტებით ოპერირებით კულტურის დამკვიდრებას. ამგვარი დისკუსიების თუ მრგვალი მაგიდების მოწყობის ინიციატორებად შეიძლება ასევე გამოვიდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები და მედია. ამდენად საკითხზე ორიენტირებული დისკუსიების მხარდაჭერა გაზრდის ახალგაზრდობის ჩართულობას.**

პოლიტიკური კულტურა და სამოქალაქო ცნობიერება

მონაწილეობა საზოგადოების დიდი ნაწილისათვის არ წარმოადგენს ღირებულებას. ძალზე სუსტად არის განვითარებული მოხალისეობის ინსტიტუტი. საქართველოში მოხალისედ მომუშავე ახალგაზრდებს შორის ძირითად ნაწილს უცხოელები შეადგენენ. ასევე ნაკლებ არის გავრცელებული ქველმოქმედება, თუმცა დიდი გასაჭირის დროს, მაგ. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ძალზე დიდი იყო დევნილების დახმარების შემთხვევები, როგორც კერძო პირების ასევე სხვადასხვა ორგანიზაციების მხრიდან. სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაგება ბუნდოვანია და უფრო ხშირად არჩევნებში მონაწილეობით ამოიწურება, ხოლო მისი ღირებულება ნაკლებად არის გაზიარებული. კვლევები (მაგ. სუმბაძე 2009 და 2010) მიუთითებენ, რომ საზოგადოებაში დაბალია ტოლერანტობა განსხვავებული აზრისა და მრწამსის მქონე პირების მიმართ.

- **სამოქალაქო ცნობიერებასა და ტოლერანტობის გაზრდაზე**

მიმართული აქტივობები მნიშვნელოვნად შეუწყობენ ხელს ახალგაზრდობის გააქტიურებას. ასეთ აქტივობებად შეიძლება იყოს:

1. თრენინგები ან მოკლე ვადიანი კურსები მარტივი და მკვეთრად გამოხატული მიზნებით.
2. საზაფხულო ბანაკები, სადაც სხვადასხვა რეგიონის, ეთნიკურობისა და რელიგიური მრწამსის მქონე ახალგაზრდებს ექნებათ გაცნობის, გაზიარების და დამეგობრების საშუალება.
3. დისპუტები, კონკურსები და კონფერენციები დემოკრატიაზე, ტოლერანტობასა და სოციალურ საკითხებზე.

ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ხელი უნდა შეეწყოს ქართული ენისა და კულტურის სწავლებას. უდღეს ამ რეგიონებში აღინიშნება ქართული ენის შესწავლის და ქართველ ახალგაზრდებთან ინტეგრაციის სურვილი.

- უნდა მოხდეს ამ რეგიონების ახალგაზრდებისთვის საქართველოს სხვა კუთხეების და ისტორიული ძეგლების გაცნობა. კარგი იქნება თუ მომზადდება დასურათებული, მარტივი და გასაგები ენით დანერილი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კულტურული ინტერესის კატალიზატორად შეიძლება იქცეს ახალქალაქში არსებული ქართული კოლეჯი, რომლის 85 სტუდენტს შორის 35 სომეხია. კოლეჯში სწავლა ქართულად მიმდინარეობს. კოლეჯის მასწავლებლებს აქვთ სომხებისთვის ქართულის სწავლების ხანგრძლივი გამოცდილება. კოლეჯთან შეიძლება შეიქმნას მრავალფუნქციური ახალგაზრდული ცენტრი, სადაც ქართულის სწავლასთან ერთად მსურველებს შეეძლება სომხური ენის დაუფლებაც.
- ინტეგრაციის მიზნით ეროვნულ უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გრანტების მიცემისას კარგი იქნება თუ გრანტის გაცემის პირობა იქნება სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდების მონაწილეობა.

სოციალურ-ეკონომიური ფონი

ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიური ფონი მნიშვნელოვნად განაპირობებს მონაწილეობისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებას. ერთის მხრივ იგი ბადებს იმედგაცრუებას და მეორეს მხრივ უზიძვებს ახალგაზრდობას მთელი თავის რესურსი მოახმაროს საარსებოდ აუცილებელი საშუალებების მოპოვებას. უმუშევრობა არა მხოლოდ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიღარიბეს, არამედ ასევე აფერხებს ახალგაზრდის განვითარებას, არ აძლევს რა მას სამუშაო გამოცდილების მიღების და შესაბამისად პროფესიული ზრდის შესაძლებლობას.

შესაბამისად ეკონომიკური აქტიობა ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი ინტერესის გაზრდას. არსებულ ვითარებაში ეფექტური იქნება საკუთარი ბიზნესის წამოწყების წახალისება ახალგაზრდებში. ამის მაგალითები არსებობს სათემო ორგანიზაციებში. ბიზნესის საფუძვლების სწავლება, ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბება, ფინანსური აღრიცხვა და ძირითადი საკანონმდებლო აქტების ცოდნა საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს იფიქრონ ბიზნესის წამოწყებაზე. ჩვენმა კვლევამ ცხადყო ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული გაურკვევლობისა და ხშირად შიშის არსებობა, კანონმდებლობის არ ცოდნა.

- ბიზნესის წარმართვისთვის საჭირო უნარებისა და ცოდნის ფართე მასშტაბიანი სწავლება, რასაც მცირე მასშტაბით ახორციელებენ რიგი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის დასაქმებას.
- ეფექტური იქნება კონსკურსების მონყობა მცირე თავდაპირველ კაპიტალზე აგებულ საუკეთესო ბიზნეს იდეაზე და გამარჯვებული ბიზნეს იდეის დაფინანსება.

სოფლად მცხოვრები ახალგაზრდობის პრობლემას თანამედროვე ტექნოლოგიების არ ცოდნა და მონეული მოსავალის რეალიზაცია წარმოადგენს.

- საჭიროა ახალგაზრდობის განათლება რეგიონში არსებული სასოფლო სამეურნეო კულტურების მოყვანის თაობაზე.
- ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს პროდუქციის რეალიზაციას.

განათლება

განათლების დაბალი ხარისხი ამცირებს დასაქმების შესაძლებლობას და ამდენად ხშირად სიღარიბეს განაპირობებს, რომელიც როგორც ზემოთ ავლნიშნეთ მონაწილეობის ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს. ამასთან ერთად განათლების დაბალი დონე ხელს უშლის ახალგაზრდას კარგად გააცნობიეროს და გამოხატოს საკუთარი სურვილები თუ მოთხოვნილებები.

კვლევის მონაწილეების მიერ საყოველთაოდ აღიარებულ იქნა განათლების დაბალი დონე გაპირობებული სისტემის არასწორი რეფორმირებით, სწავლების დაბალი დონით და განათლების ხელმიუწვდომლობით. ხელმიუწვდომლობა თავს იჩენს განათლების მიღების ყველა ეტაპზე, კერძოდ გამოიხატება თანხების არ ქონით, რათა მოხდეს ახალგაზრდების მომზადება ეროვნული გამოცდებისათვის (მონაწილენი მიუთითებდნენ, რომ სკოლა ვერ აძლევს მათ გამოცდის ჩაბარებისათვის საჭირო ცოდნას. ასევე ფიქრობს საქართველოს ახალგაზრდობის კვლევის ეროვნული ანგარიშის 2009 მიხედვით ახალგაზრდობის 57 პროცენტი). გამოცდების მეტნაკლებად წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში ახალგაზრდების ოჯახების დიდ ნაწილს არ აქვს უმაღლესში გადასახადის დაფარვის სახსრები. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს წინააღმდეგობაც დაძლეულია, ახალგაზრდებს უჭირთ ტრანსპორტირების და ცხოვრების ხარჯების დაფარვა, მიუთმეტეს თუ ისინი არ არიან იმ ქალაქის მკვიდრნი, სადაც სწავლობენ.

- **ახალგაზრდებს უნდა მიეცეთ სწავლის შესაძლებლობა. უნდა არსებობდეს გრძელვადიანი კრედიტები სწავლისათვის, ოჯახის შექმნისათვის და ბინის საყიდლად.**

ამასთან კვლევის ყველა მონაწილემ აღნიშნა პროფესიული ცოდნის მნიშვნელობა და განათლების მიღების სურვილი. შესაბამისად ნებისმიერი ხარისხიანი საგანმანათლებლო პროგრამა, იქნება ის გრძელ თუ მოკლე ვადიანი, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც დაკავშირებულია შრომით ბაზრის მოთხოვნებთან, ხელს შეუწყობს მონაწილეობის გაზრდას. მიუხედავად იმისა, რომ მისი ზეგავლენა ჩართულობაზე შეიძლება არ იყოს მყისიერი.

- **სასარგებლო იქნება ისეთი სასწავლო, მათ შორის პროფესიული სწავლების კურსების მხარდაჭერა, რომლებიც მიბმული იქნებიან მოცემულ ადგილას არსებულ შრომითი ბაზრის მოთხოვნაზე.**

ახალქალაქში ყარსი ახალქალაქის რკინიგზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით ჩნდება რკინიგზის რეაბილიტაციისთვის საჭირო პროფესიონალთა დასაქმების შესაძლებლობა. რაიონში ასეთი სპეციალისტები არ არიან. ახალგზრდობას აქვს სურვილი დაეუფლოს სპეციალობას და ადგილზე დასაქმდეს.

კომპიუტერზე მიჯაჭვამ და ზოგადად განათლების დონის დაცემამ, ასევე ნიგნების სიძვირემ განაპირობა ის, რომ ახალგზრდები აღარ კითხულობენ ნიგნებს.

- **საჭიროა კითხვის სტიმულირება ნიგნების განხილვის მეშვეობით, ბიბლიოთეკების ახალი ნიგნებით შევსებით და კომპიუტერული ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობის გაზრდით, არსებულ რესურსებზე ინფორმაციის ფართედ გავრცელების მეშვეობით.**
- **წარმატებული სტუდენტების ნებაყოფლობით საწყისებზე ახალგზრდობის ცენტრებში მასწავლებლებლად გამოყენება ერთის მხრივ გაზრდის განათლების ხელმისაწვდომობას და მეორეს მხრივ სტუდენტებს მისცემს შრომით გამოცდილებას.**

მონაწილეობის სურვილი და დრო

ახალგზრდობის უმრავლესობას აქვს მონაწილეობის სურვილი. ბევრს, განსაკუთრებით სოფლებში ამის დროც საკმარისზე ბევრი აქვს. ცხადია, რომ სურვილი მონაწილეობის მძლავრ რესურსს წარმოადგენს, თუმცა იგი არ არის საკმარისი მოტავაციის ჩამოყალიბებისათვის. იმისათვის, რომ ის მონაწილეობას დაედოს საფუძვლად ასევე საჭიროა მონვევა მონაწილეობაზე და მონაწილეობის სივრცე.

მონვევა მონაწილეობაზე

მონვევა მონაწილეობაზე ხორციელდება ლიდერების ან ორგანიზაციების მიერ ახალგზრდების მობილიზაციით. მცი-

რეა ეფექტური ლიდერობის მაგალითები. ამ თვალსაზრისით ასევე სუსტია არასამთავრობო ორგანიზაციების პოტენციალი. ახალგაზრდული ორგანიზაციები მართვის, ფინანსური, საკადრო თუ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ განაპირობებენ ახალგაზრდობის სათანდო ოდენობითა და ხარისხით ჩართვას საზოგადოებრივ საქმიანობაში.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების მხარდაჭერა, განსაკუთრებით კი ისეთი პროექტების, სადაც დეტალურად იქნება განერილი ახალგაზრდების მობილიზაციის სტრატეგია, მონაწილეობის პროცედურები და მათზე მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები გაზრდის მონაწილეობას და ხელს შეუწყობს დემოკრატიული პრაქტიკის დანერგვას.**

მონაწილეობის პირობები

დემოკრატიული პროცედურების და სივრცის ნაკლებობა, რომელიც შეხვედრების და კოლექტიური ქმედებებისათვის ადამიანთა მობილიზაციის შესაძლებლობას იძლევა მონაწილეობის ძალზე მნიშვნელოვან ხელისშემშლელ პირობას წარმოადგენს. კვლევამ ცხადყო, რომ იქ სადაც არსებობს ურთიერთობის სივრცე, მაგ. სათემო ორგანიზაციებში არსებული ცენტრები, დევნილთა ცენტრები, ჯავახეთის ფორუმი თუ სხვა აღინიშნება მონაწილეობის გარკვეული დონე.

- **ამდენად საერთო აქტიობებისათვის ფიზიკური გარემოს შექმნა, შეხვედრების ადგილის მოწყობა და აქტიობების წარმართვა ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ახალგაზრდობის მონაწილეობას. ახალგაზრდული ცენტრებისა ან კლუბების შექმნა, სადაც გაპირობებულ იქნება ახალგაზრდობის შეხვედრები, განათლების და ინფორმაციის მიღება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მონაწილეობის გაზრდას და სოციალური კაპიტალის დაგროვებას.**
- **არ უნდა იქნეს დაკარგული სამცხე-ჯავახეთში “ბრითიშ პეტროლუმის“ მიერ სტიმულირებული ეკოლოგიური ინტერესი. კარგი იქნება რეგიონებში ეკოლოგიური კლუბების გახსნა.**

ბევრ ქალაქში არც კინოთეატრი, არც თეატრი და არც

სპორტული დარბაზია. სტადიონები, როგორც წესი ცუდ მდგომარეობაშია. სოციალური კაპიტალის გაზრდას ხელს უწყობს ნებისმიერი ჯგუფური მოქმედება, იქნება ეს სიმღერის გუნდი, ცეკვის ანსამბლი, სხვადასხვა კურსები, თუ გუნდური სპორტი.

- **კულტურის ცენტრების გახსნა, თუ გინდ დიდი ვიდეოპროექტორით შეარბილებდა არსებულ სიტუაციას მინიმალური დანახარჯებით. მხარდაჭერილი უნდა იქნეს ჯგუფური აქტივობები და გართობის შესაძლებლობების შექმნა.**

მონაწილეობის არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ინფორმაცია, მონაწილეობის არსებული მცირე შესაძლებლობების შესახებაც კი არ არის უმრავლესობისათვის ხელმისაწვდომი. უუკანასკნელ ხანებში აღინიშნება საინფორმაციო ვებ-გვერდების შექმნა (მაგ. www.youth.ge), სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო გეგმავს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მონაცემთა ბაზის შექმნას, იუნისეფის თაოსნობით იქმნება ბაზა ახალგაზრდობის დასაქმების, სპორტში თუ კულტურულ ღონისძიებებში ჩართვის შესაძლებლობების თაობაზე. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ამასთან ახალგაზრდობის ორგანიზაციათა დიდ ნაწილს და ახალგაზრდობის უმრავლესობას არ აქვს ინფორმაცია არსებული საინფორმაციო საშუალებების არსებობის შესახებ.

- **მხარდაჭერილ იქნეს ახალგაზრდული საინფორმაციო ვებ-გვერდების შექმნა. სადაც განლაგებული იქნება საქართველოს მასშტაბით განხორციელებული ღონისძიებები, მოხალისეობის, დასაქმებისა და სწავლის შესაძლებლობები, ინფორმაცია კონცერტებისა და ფილმების შესახებ და სხვა. ფართედ უნდა იქნეს გავრცელებული ინფორმაცია ამ ვებ-გვერდების შესახებ.**
- **მხარდაჭერილ უნდა იქნეს ახალგაზრდული გაზეთის გამოცემა.**
- **უნდა შეიქმნას სატელევიზიო გადაცემები ახალგაზრდობის პრობლემებზე, სხვადასხვა მრწამსების, ეროვნების და ასაკის პირთა მონაწილეობით.**

მონაწილეობის პროცედურების დანერგვა და სტიმულირება

გადაწყვეტილებების მიღება მონაწილეობის მეშვეობით იშვიათად ხორციელდება. მაშინაც კი, როდესაც სახეზეა ჩართულობა ეს ხორციელდება მონაწილეობის უფრო დაბალი საფეხურის, მაგ. როგორც კონსულტირება და არა მისი მაღალი საფეხურის, მაგ. გადაწყვეტილების მიღებაში პირდაპირი მონაწილეობის მეშვეობით.

- **ჭეშმარიტი, მაღალი საფეხურის მონაწილეობის გაზრდის ერთერთ საშუალებას წარმოადგენს მისი გრანტების მიღების პირობად ფიქსირება. ამ შემთხვევაში ორგანიზაციები იძულებული იქნებიან გადაწყვეტილებების მიღება მონაწილეობას დააფუძნონ და შეეჩვიონ მონაწილეთა აზრის გათვალისწინებას.**
- **ასევე აუცილებელია მონაწილეობითი მეთოდების სწავლება და მონაწილეობის პროცედურებზე სახელმძღვანელოს გამოცემა.**
- **ახალგაზრდობის კონცენტრაცია მაღალია სასწავლო დაწესებულებებში. ეს შესაძლებლობა ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული ნებაყოფლობითი საქმიანობის პროპაგანდისა და მისი განხორციელებისათვის.**
- **მხარდაჭერილ უნდა იქნეს სკოლებში თვითმმართველობის შექმნა.**

ახალგაზრდები მონდომებული არიან იმუშაონ სტაჟიორებად და მოხალისეებად. ამის მოტივაციას სხვასთან ერთად, ასევე წარმოადგენს რეზიუმეში ჩანაწერის გაკეთება და ასევე დროის დაკავება. ეს შესაძლებლობა გამოყენებულ უნდა იქნეს.

- **კარგი იქნება თუ დონორები გრანტების გაცემისას ორგანიზაციას მოსთხოვენ გარკვეული ოდენობის სტაჟიორებისა და მოხალისეების აყვანას.**

თაობათა წყვეტა

ბოლო წლებში საგრძნობლად შემცირდა ახალგაზრდობის და უფროსი თაობის ერთობლივად მონაწილეობის შესაძლე-

ბლობა, გაიზარდა თაობათა შორის ფსიქოლოგიური და ღირებულებითი მანძილი. არსებული კვლევების მიხედვით უფროსი ასაკის ადამიანებთან დადებითი ხასიათის მქონე პარტნიორობა მნიშვნელოვნად ამცირებს ახალგაზრდების რისკიან ასოციალურ აქტივობებში ჩაბმის საშიშროებას. თაობათა კავშირი ასევე განაპირობებს ცოდნისა და გამოცდილების უწყვეტ ხასიათს.

- **საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, სადაც სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ერთად იმუშავენ პრობლემაზე.**

ჯანმრთელობა

ზოგადად ჯანმრთელობა ბევრად უფრო ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს ახალგაზრდობაში, ვიდრე რომელიმე სხვა ასაკში. მიუხედავად ამისა არის გარკვეული ახალგაზრდობისათვის სპეციფიური ჯანმრთელობის პრობლემები და ასევე პრობლემები, რომელთა წარმოქმნა ახალგაზრდობაში ხდება. კვლევამ გამოავლინა ახალგაზრდობის შემფოთება ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმის გავრცელების გამო. მონაწილენი მიუთითებდნენ ნარკომანიის კავშირს დასაქმებასთან და აუცილებლობას, რომ ნარკომანია განხილულ იქნეს როგორც დაავადება და არ იყოს დასჯადი. ამასთან უნდა არსებობდეს ცენტრები, სადაც ნარკომანები უფასოდ გაივლიან მკურნალობას.

- **უნდა განხორციელდეს ნარკომანიითა და ალკოჰოლიზმით დაავადებულ პირთა თანატოლების მიერ მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ განკურნება.**
- **უნდა მოხდეს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და ხელშეწყობა. უნდა შეიქმნას ახალგაზრდობის სპორტით დაკავების პირობები.**

სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების, ასევე შიდსის შესახებ ინფორმაცია და კონსულტირება, რეპროდუქციული ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხები ძირითადად ახალგაზრდობასთან არის დაკავშირებული. ამდენად სამედიცინო თუ ფსიქოლოგიური კონსულტაციის მიღება ისე, რომ თავიდან იქნეს აცილებული სტიგმატიზაცია დიდ მნიშვნელობას იძენს. ეს კი შეიძლება განხორციელდეს ჯანმრთელობის სახლებში.

- **კარგი იქნება ჯანმრთელობის სახლების ან კლუბების მხ-**

არდაჭერა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ ერთმანეთთან შეხვედრის, ინფორმაციის მიღების და ერთმანეთისათვის გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.

ავტოავარიები მრავალი ახალგაზრდის სიკვდილისა და ინვალიდობის მიზეზი ხდება.

- მხარდაჭერილი უნდა იქნეს აქტივობები, რომლებიც მიმართული იქნება მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობის გაცნობიერებას, ბავშვებისთვის ქუჩის გადაკვეთის წესების სწავლებაზე.

ბიბლიოგრაფია

სუმბაძე, ნ. (2009). საქართველო აგვისტოს ომამდე და ომის შემდეგ. თბილისი. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი

სუმბაძე, ნ. (2010). მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში: სასურველი და მიღწეული. თბილისი. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი.

საქართველოს ახალგაზრდობის კვლევის ეროვნული ანგარიშის მიხედვით (2009).

Commonwealth Secretariat - Participation in the Second Decade of Life (2005).

Lefrancois, G.R. (1993). *The Lifespan*. 4th ed. Belmont, CA - Wadsworth Publishing Company.

Maloney, W.A. (2008). Interest Groups, Social Capital, and Democratic Politics. In D.Castiglione, J.W.Van Deth and G.Wolleb (Eds). *The Handbook of Social Capital*. Oxford University Press.

Paxton, P. (2002). Social Capital and Democracy: An Interdependent Relationship. *American Sociological review*, 67/2.254-277.

Putnam, R.D. (1993). *Making Democracy Work. Civic Traditions in Modern Italy*. Princeton - Princeton University Press.

Putnam, R.D. (2000). *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community*. N.Y. - Simon & Schuster.

Rosenblum, N.(1998). *Membership and Morals: The Personal Use of Pluralism in America*. Princeton - Princeton University Press.

Youth Participation in Development (2010) - DFID.

დანართი 1.
გამოკითხულთა სია

	სახელი და გვარი	ორგანიზაცია	თანამდებობა	თარიღი
1	დევი სირაძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ახალგაზრდობის სამმართველო	სამმართველოს უფროსი	17.06.10
2	შორენა შიუკაშვილი	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ახალგაზრდობის სამმართველო	სპეციალისტი	17.06.10
3	ნინო ხაზარაძე	ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდის თანამშრომელი	სპეციალისტი	17.06.10
4	ნინო ვასაძე	საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი	პროგრამის ხელმძღვანელი	28.06.10
5	მიხეილ კომიკიძე	ჯავახეთის ფორუმი	თავმჯდომარე	2.07.10
6	ჯაბა ნათენაძე	დემოკრატ მესხთა კავშირი	ახალგაზრდული პროგრამის ხელმძღვანელი	1.07.10
7	ეკა აბაშიძე	დემოკრატ მესხთა კავშირი	კოორდინატორი	1.07.10
8	გირშელ ბართაია	ნაციონალური მოძრაობის კრწანისის რაიონის ახალგაზრდული ორგანიზაციის	თავმჯდომარე	2.07.10
9	ლევან ჯაფარიძე	ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია	თავმჯდომარე	11.07.10
10	ირაკლი პეტრიაშვილი	საქართველოს პროფკავშირები	პრეზიდენტი	12.07.10
11	შოთა ძაგანია	ალიანსი საქართველოსათვის	წევრი	27.07.10

12	თეიმურაზ ნიკლაური	საქართველოს ლეიბორისტთა პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაცია	თავმჯდომარე	27.07.10
13	გიორგი ციმიცია	საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია	განვითარების განყოფილების მენეჯერი	28.07.10
14	შალვა კიკნაველიძე	ახალგაზრდული ფორუმი	თავმჯდომარე	4.08.10
15	ირაკლი მეგრელიშვილი	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო	რეგიონალური დეპარტამენტის უფროსი	10.09.10
16	ალექსანდრე სილაგაძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო	ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	10.09.10
17	მაკა ყუფარაძე	იუნისეფი	პროექტის ხელმძღვანელი	16.09.10
18	მაგული შავაშვილი	იუნისეფი	კონსულტანტი	16.09.10
19	ინგა პაიჭაძე	მსოფლიო ბანკი	სამოქალაქო საზოგადოების ფონდის ხელმძღვანელი	22.09.10
20	ჯაბა ჯიშკარიანი	ორგანიზაცია 7 ნოემბერი	თავმჯდომარე	24.09.10
21	ნუცი ოდიშარია	ველდ ვიჯენი	პროექტის კოორდინატორი	29.09.10

დანართი 2

ფოკუს ჯგუფებისა და საუბრების ნუსხა

№	ჯგუფის ტიპი	თარიღი	ადგილი	დამსწრეთა რაოდენობა		
				კაცები	ქალები	სულ
1	პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები	08.07.2010	თბილისი	7	5	12
2	ოსუ და სტუ სტუდენტები	06.07.2010	თბილისი	6	7	13
3	კერძო უნივერსიტეტების სტუდენტები	1.07.2010	თბილისი	11	3	14
4	სტუდენტები	30.06.2010	გორი	2	8	10
5	არასამთავრობო ორგანიზაციები	7.07.2010	თბილისი	5	3	8
6	სტუდკავშირები	3.07.2010	თბილისი	6	4	10
7	შერეული	3.07.2010	ზუგდიდი	7	5	12
8	შერეული	4.07.2010	ბათუმი	8	5	13
9	შერეული	2.07.2010	ქუთაისი	9	6	15
10	შერეული	1.07.2010	ახალციხე	6	9	15
11	შერეული	2.08.2010	ახალქალაქი	10	15	25
12	შერეული	06.07.2010	თელავი	6	4	10
13	შერეული	2.08.2010	მარნეული	7	5	12
14	დევენილი ახალგაზრდობა	30.06.2010	კარალეთი	4	6	10
15	საუბარი	30.06.2010	კარალეთი	5	2	7
16	საუბარი	1.07.2010	სამცხე- ჯავახეთი სოფ.ვაღე	5	8	13
17	საუბარი	3.07.2010	სამეგრელო სოფ. კორცხელი	0	7	7
18	საუბარი	6.07.2010	კახეთი. სოფ. კისისხევი	3	2	5
	სულ			107	104	211

**PARTICIPATION OF YOUTH IN DEMOCRATIC PROCESSES:
REPORT**

1. INTRODUCTION

Interest in public life and participation is the bases of democracy. Civic participation assumes citizens' participation in collective actions around common interests and values. Groups are viewed as the main actors of participation beyond the voting (Maloney, 2008). Participation is an integral part of social capital. Putnam (2000) views social capital as simultaneously private and public good. It is not only beneficial for people who possess it, but in societies characterized by high social capital, even individuals with poor social capital can enjoy its benefits.

Social capital is defined as "Features of social organization, such as trust, norms and networks that can improve the efficacy of society by facilitating coordinated actions" (Putnam, 1993, p.167). A large measure of social capital is considered as the necessary condition for democracy. Paxton (2002) considers two ways through which social capital can influence democracy: firstly, by facilitating the creation of democracy in non-democratic states through minimizing the ability of the state to directly oppress its citizens, and secondly, by providing scope for growth through organized opposition.

Membership in voluntary organizations increases the social capital of an individual, enhancing his/her resources and skills, and stimulating political participation. Organizations provide the possibility to formulate problems and requirements, which is an essential precondition for solving the problem (Rosenblum, 1998).

Low level of youth participation is evident in studies undertaken by Institute for Policy Studies as well as the other organizations in recent years (Sumbadze, 2010; National Report of Georgian Youth, 2009). Nihilistic attitude towards political leaders and indifference towards participation in public life is especially high among the youth, which evidently poses a threat to democratic processes. Furthermore, mobilization of civic society is hindered by the deficiency of information on youth organizations existing in the country, on their aims, activities and members. Therefore, identification of youth organizations and structuring the relevant information, as well as identification of the reasons hindering youth participation are preconditions for designing and implementing the policy aimed at ensuring added active participation of youth in public life.

The function of participation is on one hand to influence decision making, and on the other hand to contribute towards the creation of social capital through establishing bridging ties. Providing the

possibility to establish connections with people of different economic, educational and professional backgrounds, age and gender groups, and membership in voluntary organizations also contributes towards tolerance. It is well known that the level of participation does vary not only with age, but also with generations. Participation in voluntary organizations and voluntarism in early years of life serve as the best indicator of participation in adulthood. Hence, involvement of youth in public life becomes essential for democracy.

2. THE OBJECTIVES AND METHODOLOGY OF THE STUDY

The goal of the study was to identify youth organizations and institutions working with youth in Georgia, as well as to present information on their goals, activities and target groups in the Youth Organizations Directory. Another goal was to determine the views of youth and youth organizations on the problems hindering civic activities of the youth.

The survey involves both, desk research and empirical qualitative study. To this end, key stakeholders and experts were identified for conducting in-depth interviews (see Annex 1). Focus group discussions were carried out with leaders and members of youth organizations. Discussions were also held with the youth not involved in youth organizations activities. In addition, field activities were carried out in Georgian cities having universities, i.e. Tbilisi, Kutaisi, Batumi, Telavi, Gori, Zugdidi and Akhaltsikhe. In Akhalkalaki, Marneuli, Karaleti, and rural areas of Kakheti and Samegrelo, discussions were held with Armenian, Azeri, and IDP youth representatives for identifying factors obstructing civil activities. A total of 14 focus group discussions (FGD), 4 discussions and 21 in-depth interviews have been conducted. Overall, 211 people participated in group discussions, of which 49.3 percent were females and 50.7 percent - males (see Annex 2).

The following issues have been discussed in focus groups, discussions and in-depth interviews:

- Assessment of youth participation level;
- Spheres of youth activities;
- Major problems of youth organizations;
- Reasons behind low participatory level of the youth;
- Ways of enabling greater involvement of the youth in public life.

Identification of youth organizations was initiated by exploring various web-sites and directories. This process was continued by a “snow-ball” method, when every interviewed organization provided a list of other known organizations.

Each organization completed a questionnaire which covered the following issues:

- Name of the organization and its legal status;
- Contact information;
- Number of basic staff members;
- Head of the organization;
- Fundamental goals and objectives;
- Target groups;
- Spheres of activities;
- Types of activities;
- Funding sources;
- Implemented and ongoing projects.

Out of the 110 target organizations provided with questionnaires, only 55 provided timely feedback. The furnished data have been incorporated in the Statistical Package for Social Sciences (SPSS) and statistically processed. Even though the number of interviewed organizations did not allow drawing sound conclusions, we do believe that the obtained information nonetheless adequately reflects the existing trends.

3. ROLE OF YOUTH CIVIL ACTIVITIES AND OVERVIEW OF EXISTING PROBLEMS

Youth represents a significant segment of the entire population. Almost a fourth of the population of Georgia belongs to the age group from 15 to 30 years (23.6 percent). Among them, 50.6 percent are males and 49.4 percent are females. However, the role of youth in the country is not solely determined by their numbers. This cohort represents the population who are and will be important decision-makers in the country. Hence, the current or future welfare and success of the country depends on them to a significant extent.

In the life cycle, the youth occupies an intermediate position between adolescence and adulthood. In addition to its specific require-

ments and objectives, the youth, as a transitory stage from adolescence to adulthood is characterized by features inherent to the above two stages of life. The major objective of the youth is the preparation for independent life, employment and marriage. It can be easily considered as a phase in life which is more oriented towards the future (Lefrancois, 1993). Therefore, it becomes crucial to accumulate relevant resources and acquire necessary skills required for both career and personal life. At this stage, civic consciousness develops and involvement in civil and political activities begins. The age defining the beginning of the youth is not precisely determined. UN defines youth as a period, which starts at 15 and ends at 24 years of age, whereas EU defines 31 years of age as the upper threshold of the youth period. In Georgia, there is no Law on Youth. In accordance with the Law on Youth Organizations, a person aged 18-25 years falls under definition of youth. According to the State Policy document on youth, which is currently under development, the age bracket of youth is determined as 18-29 years. However, the respondents of our survey consider youth as 15-30 years old people, whereas a few believe that the upper age threshold for youth is 35 years.

Participation in public life and decision-making is a prerequisite for democracy and civic activity. It is a human right and is defined as “an opportunity for people to realize their right for participating and obtaining information on decision-making processes which impact their lives” (Youth Participation in Development, 2010). According to the World Bank, the definition of participation implies information exchange, consultations, initiation of decision-making and relevant activities. At the same time, participation must be active, voluntary and based on a sufficient amount of information.

A sociologist Roger Heart (Commonwealth Secretariat, 2005) developed the participation model – a participatory ladder consisting of the following eight ranks:

1. Manipulation: adults lead the youth in accordance to a scheme known only to them, where the youth do not understand what is happening, and they are not free to explore or act on their own thinking.
2. Decoration: young people participate in events, e.g. by singing, dancing or wearing T-shirts with logos, but they do not really understand the issue or its objectives.
3. Tokenism: young people are asked to say what they think about an

issue, but have little or no choice on the way they express those views or the scope of ideas they can express.

4. Assigned but informed: adults decide on the project and young people volunteer for predetermined roles. In this case, adults inform them adequately and respect their views.
5. Consulted and informed: The project is designed and run by adults, but children/young people are consulted. They have a complete understanding of the process and their opinions are taken seriously.
6. Adult-initiated, but decisions are taken with young people: Adults have the initial idea, but young people are involved in every step of planning and implementation. Their views are considered seriously and they are involved in decision making.
